სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 24 ივნისი 2006 №143 (2765) ფასი 50 თეთრი

ნაბიჯი

მსოფლიოს ჩემპიონატი დღეს იწყება



ორი კვირა გასულა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებიდან. გასულა კი არა, თვალსა და ბურთს შუა გაფრინდა. ზოგი გუნდი დაფრინავდა, ზოგი დადიოდა. ვინც დადიოდა, გაფრინდა, ვინც დაფრინავდა, გერმანიაში დარჩა. დარჩა თექვსმეტი და ახლა იწყება ნერვებისა და გუნდების განახევრება. იწყება 90 წუთი, დამატებითი დრო, დამატებითი ნერვებისწყვეტა, პენალტები... სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. გერმანია — შვედეთი და არგენტინა — მექსიკა. დღესვე ვნახავთ ორი გუნდის სიხარულს და ორის ცრემლს. დღეიდან ფეხბურთი უფრო გემრიელი გახდება.

გატეხილი გულების გადაზიდვა

კავკასიური ბურთის წრე

ორი კენჭი და ერთი ქვა ნიონიდან

სიონი — ბაკი
ამერი — ბანანცი
არტმედია — ვიტ ჯორჯია

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

G ჯგუფი. III ტური

ტოგო 0:2 საფრანგეთი

№45. 23 ივნისი. 23.00. პიოლენი. „რაინენერგიშბადიონი“. 45 000 მაყურებელი

0:1 ვიეირა (55), 0:2 ანრი (61)

16 აგასა

მწვრთნელი ოტო პფისტერი

5 ჩანგაი — 2 ნიბომბე — 3 აბალო

10 მამამი — 7 სალიფუ

17 კადერი — 18 სენაია

6 აზიავონუ

13 ფორსონი — 4 ადებაიორი

20 ტრეზეგე — 12 ანრი

7 მალუდა — 22 რიბერი

4 ვიეირა — 6 მაკელელე

13 სილვესტრი — 5 გალასი — 15 ტურამი — 19 სანიოლი

მწვრთნელი რაიმონ დომენეკი

16 ბარტეზი

შეცვლა: მამამი – 14. ოლუფადე (59), მალუდა – 11. ვილტორდი (74), ადებაიორი – 9. დოსუვი (75), რიბერი – 9. გოვუ (77), ვიეირა – 18. ა. დიარა (81)

გაფრთხილება: მაკელელე (30), აზიავონუ (38), მამამი (44), სალიფუ (88)

მსაჯები: ხორხე ლარიონდა; ვალტერ რიალი, პაბლო ფანდინიო (ურუგვაი)

22	ჯარიმა	12
1	კუთხური	9
8	ყარისკენ დარტყმა	17
2	ყარში დარტყმა	9
3	თამაშგარე	5

სველი ჯადო



ამბობენ, აფრიკაში ყველაზე ძლიერი შამანები ტოგოელებს ჰყავთ და ამიტომაცაა, მთელს შავ კონტინენტს ამ ქვეყანაში ფეხბურთის თამაში ჭირის დღესავით რომ სძულსო. მაგრამ, ამბობენ სხვასაც — თურმე ტოგოელი მჩხიბავების ჯადო აფრიკას გარშემორტყმულ წყალზე ვერ გადადის. ჰოდა, ვინც წუხელ საფრანგეთისა და ტოგოს ნაკრებების თამაშს უცქირა, ცხადია, ორივე ნათქვამის ჭეშმარიტებაში დარწმუნდა. ის, რომ ტოგოში ყველაზე ძლიერი შამანები ჰყავთ, მარტივად მტკიცდება იმ მომენტების გახსენებით, სამფეროვნებს რომ ჰქონდათ და ვერ გამოიყენეს, ხოლო ის, რომ მათი ჯადო აფრიკის გარეთ შეზღუდულია, შეხვედრის საბოლოო ანგარიშიდან ჩანს.

რაც შეეხება შამანობასთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან ამბავს, სატურნირო მდგომარეობას, იგი ისეთი გახლდათ, რომ ფრანგებს 2:0 მაინც უნდა მოეგოთ. და, მართლაც, რაიმონ დომენეკის შეგირდები წინა შეხვედრებთან შედარებით თავიდანვე აჩქარებულნი ჩანდნენ. მოგეხსენებათ, ამ მატჩში არ მონაწილეობდა დისკვალიფიცირებული ზინედინ ზიდანი, რომელიც ამ დღეს 34 წლისა მოიყარა, მაგრამ იყო მეორე იუბილარი პატრიკ ვიეირა, რომელიც 30-ისა შესრულდა და თავს საუცხოო საჩუქრებიც მიართვა — ერთი გოლი და მეორე საგოლე პასი.

მართალია, სამფეროვანთა ქომაგმა ზიდანი-ანრი-ტრეზეგეს შემტევი სამკუთხედი მუნდიალის მესამე შეხვედრაშიც ვერ ნახა, მაგრამ უკვე კარგი იყო, რომ ფრანგთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ტრეზეგე როგორც იქნა შეუშვა მოედანზე და ასე თუ გაგრძელდა, მომავალში შეიძლება ხსენებული სამკუთხედიც დაიხატოს.

ზემოთ ვიეირას კარგი თამაში ვახსენეთ და ამ მოსაზრებას აქაც დავადასტურებთ, მაგრამ აქ კიდევ ერთ ნახევარმცველს, ფრანკ რიბერისაც შევუქებთ გარჯას. იმ 77 წუთის განმავლობაში, რაც რიბერიმ მოედანზე დაჰყო, ის გახლდათ წამომწყები უამრავი შეტევისა, რომელთაგან გვარიანად ბევრი სახიფათო მომენტით დამთავრდა. განსაკუთრებით კარგი რიბერის დროული და მწვავე პასები იყო, ხოლო იმ ეპიზოდებში, როდესაც კარში დარტყმა მას თავად უწევდა, ნაკლი ჰქონდა, სიზუსტე ღალატობდა.

გოლები კი მეორე ტაიმში გავიდა, სწორედ მას მერე, რაც „მარსელის“ ხსენებულმა ნახევარმცველმა მორიგი ჩინებული მომენტი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ორიოდ წუთში ახალი შეტევა წამოიწყო და საჯარიმოში ვიეირა მოძებნა, რომელიც შემოტრიალდა და ნავსი გაწყვიტა. აქედან 6 წუთის შემდეგ კი ვიეირამ მაღალი ბურთი დაუგდო ანრის და მანაც თავისი გაიტანა.

ბაბუნა კვიდა

საბოლოო ცხრილი

შვეიცარია	3	2	1	0	4:0	7
საფრანგეთი	3	1	2	0	3:1	5
კორეა	3	1	1	1	3:4	4
ტოგო	3	0	0	3	1:6	0

იაკობ კუთთუმნიანი

რომელი გუნდის დაცვაა საუკეთესო? — ჯერჯერობით შვეიცარიის. ერთადერთია, გოლი რომ არ გაუშვია. ეს უკვე მეტყველებს ამ ნაკრების მცველთა მაღალ კლასზე, მაგრამ ტოგო, კორეა და საფრანგეთიც რომ არ ბრწყინავდნენ შეტევაში, ამასაც ვერსად გავექცევით.

მოკლედ, იაკობ კუნის სიუბილეო, 50-ე მატჩში შვეიცარიამ სძლია სამხრეთ კორეას და წყალში ჩაუყარა ნაჯაფი — ტოგოსთან მოგება და საფრანგეთთან ფრე.

აზიელებს საგოლე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პასკალ ცუბერბიულერი ყოჩაღობდა, ზოგჯერ კი თავად კორეელი ფორვარდები თამაშობდნენ უშნოდ.

დიკ ადვოკაატმა გუს ჰიდინკის საქმის ღირსეულად გაგრძელება ვერ შეძლო. მსოფლიოს წინა ჩემპიონატის ნახევარფინალისტები ჯგუფში ჩარჩნენ. ახლა ადვოკაატი რუსეთში წაბრძანდება და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ ჩაიბარებს. მუნდიალის დასრულების შემდეგ მას დაეწევა ჰიდინკიც, რომელიც ნაკრებს უთავკაცებს. ამბობენ, ადვოკაატი „ზენიტში“ ორ კორეელ ფეხბურთელსაც მიიყვანსო... ცოტა კი გადავუხვიეთ კორეა — შვეიცარიის მატჩისგან, მაგრამ ვფიქრობთ, რუსეთში ჰოლანდიელების წყვილად ჩასვლა უფრო საინტერესოა, ვიდრე წუხანდელი მატჩი იყო.

ხშირად გინახავთ ფეხბურთელი, რომელსაც შუბლიდან ცხვირზე სისხლი ჩამოსდის, ის კი ხელაწეული და გახარებული მირბის სათადარიგოთა სკამისკენ? ალბათ იშვიათი სურათია. ასე იყო, როცა ფილიპ სენდეროსმა 23-ე წუთზე დააწინაურა შვეიცარიელები. „არსენალის“ მცველმა ბურთს ხომ დაჰკრა თავი და იმავდროულად კორეელსაც დააჯახა „ოგრა“. ორივეს წასკდა სისხლი, მაგრამ ორივემ გააგრძელა თამაში. მოგვიანებით კი სენდეროსმა ხელი იტკინა და შეცვალეს.

კორეელებმა შესვენებაზე, შეიტყვეს რომ ფრანგები უგებდნენ ტოგოს და მეორე ტაიმში უფრო გულიანად შეუტიეს. დიახ, გულიანად, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არაა გოლის გასატანად.

კონტრშეტევებზე ჩასაფრებულმა შვეიცარიელებმა კი თავისი შანსი გამოიყენეს — ალექსანდრ ფრეი მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა და მახვილი კუთხიდან გაუტანა ვოონ იაე ლის, ვისთვისაც ეს მე-100 სანაკრებო მატჩი იყო.

ვაჟა ხუციშვილი

შვეიცარია 2:0 კორეა

№46. 23 ივნისი. 23.00. ჰანოვერი. „AWD არენა“. 43 000 მაყურებელი

1:0 სენდეროსი (23), 2:0 ფრეი (77)

1 ცუბერბიულერი

მწვრთნელი იაკობ კუნი

23 ფ. დეგენი — 20 მიულერი — 4 სენდეროსი — 17 შპიხერი

8 ვიკი — 6 ფოგელი

16 ბარნეტა — 22 ჰ. იაკინი — 7 კაბანასი

9 ფრეი

10 ჩ. პარკი — 19 ჯ. ჩო — 14 ჩ. ლი

7 ჯ. პარკი — 17 ჰო — 5 ნ. კიმი

12 ი. ლი — 6 ჯ. კიმი — 4 ჯ. ჩოი — 3 დ. კიმი

მწვრთნელი დიკ ადვოკაატი

1 ვ. ლი

შეცვლა: სენდეროსი – 2. ჯირუ (53), ი. ლი – 9. ანი (63), ჩ. პარკი – 11. სეოლი (66), იაკინი – 5. მარგარიაცი (71), ვიკი – 19. ბეჭრამი (88)

გაფრთხილება: ჩ. პარკი (23), ჯ. კიმი (37), სენდეროსი (43), იაკინი (55), ვიკი (69), ჯ. ჩო (78), ანი (78), ჩ. ლი (80), შპიხერი (82), ჯირუ (90)

მსაჯები: ჰორაციო ელიზონდო; დარიო გარსია, როდოლფო ოტერო (ურუგვაი)

8	ჯარიმა	20
8	კუთხური	6
12	ყარისკენ დარტყმა	15
6	ყარში დარტყმა	8
3	თამაშგარე	3



ტვინარეული პოლი
მსაჯი გამობარათდა

საოცარი რამ მოხდა ავსტრალია — ხორვატიის დაძაბული მატჩისას. ინგლისელ მსაჯ გრემ პოლს ისე აერია ტვინი, რომ იოსიპ შიმუნიჩს სამი ყვითელი ბარათი უჩვენა და მერეღა მიხვდა, რომ მცველი უნდა გაეძევებინა. თავად ხორვატს მესამე ბარათამდე ფეხი არ მოუცვლია მინდვრიდან.

გრემ პოლი და ფინალის მსაჯობის კანდიდატთა შორისაც იყო, მაგრამ ასეთი შეცდომის მერე მისი რეპუტაცია გვარიანად შეილახა. ინგლისელმა პირველი ყვითელი შიმუნიჩს 61-ე წუთზე მისცა, მეორე მატჩის მიწურულს, მაგრამ მცველის გაძევება დაავიწყდა. ხორვატმაც თამაში გააგრძელა და როცა დამატებულ დროში კიდევ ერთხელ იუხეშა და ყურადღების ცენტრში მოექცა, პოლი კი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან იყო... არბიტრმა შიმუნიჩს მესამე ყვითელი და ფაქტობრივად მეორე წითელი ბარათი უჩვენა.

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი: „ამგვარი შეცდომები არ უნდა ხდებოდეს, როდესაც მატჩს ოთხი არბიტრი ემსახურება და ერთმანეთს გადამცემით უკავშირდებიან. ეს ჩემთვის გაუგებარი, აუხსნელი და უპატიებელი შეცდომაა. რომელიმე თანამსაჯს უნდა მიეთითებინა პოლისთვის, ამისთვის მინდორზე შესვლაც რომ დასჭირვებოდა. სათანადო ზომები უნდა მივიღოთ, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს. პოლის შეცდომის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ წინა შეხვედრაში იგი უშეცდომო იყო. მსაჯებიც ადამიანები არიან და რობოტებივით ვერ იმუშავებენ“.

კოკი კანდელაკი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღაი-ღაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოინერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარის გოლს ელის ეთიგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

www.geocell.ge

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

საუდეთი 0:1 ესპანეთი

№47. 23 ივნისი. 18.00. „აიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ სტადიონი". 46 000 მაყურებელი

0:1 ხუანიტო (36)

21 ზაიდი

მწვრთნელი მარკოს პაკეტა

3 ტუკერი — 4 ალ მონტაშარი — 13 სულიმანი — 2 დოხი

8 ნოორი — 12 ალ ხათრანი

14 ხარირი — 16 აზიზი

9 ალ ჯაბერი — 11 ალ ჰართი

7 რაული

10 რეიესი — 17 ხოაკინი

18 ფაბრეგასი — 13 ინიესტა — 6 ალბელდა

20 ხუანიტო — 4 მარჩენა — 12 ა. ლოპესი — 2 სალგადო

მწვრთნელი ლუის არაგონესი

19 კანისარესი

შეცვლა: აზიზი – 18. ალ ტემიატი (13), რაული – 21. ვილია (46), ფაბრეგასი – 8. ხავი (66), ალ ჯაბერი – 23. ალ ჰავშავი (68), რეიესი – 9. ფ. ტორესი (70), სულიმანი – 19. მასადი (81)

გაფრთხილება: ალ. ჯაბერი (27), ალბელდა (30), რეიესი (35), მარჩენა (75), ალ ტემიატი (77)

მსაჯები: ჯოფი ჯოჯა (ბენინი); სელესტინ ნტაგუნგირა (რუანდა), აბუდუ ადეროჯუ (ბენინი)

22	ჯარიმა	22
4	კუთხური	10
7	ჯარისკენ დარტყმა	19
4	ჯარში დარტყმა	13
5	თამაშგარე	0

II ჯგუფი. III ტური

არაბებს ფული რად უნდათ

AFP კიოს ზერლინიდან

ხუანიტომ გაიტანა და გაიხარა

საუდის არაბეთს პრინცის მიერ ესპანეთთან გამარჯვების შემთხვევაში თითოეული ფეხბურთელისათვის დაწესებულმა ჯილდომ (52 ათასი ევრო) ვერ უშველა — აზიელებმა ჯგუფის ბოლო თამაში წააგეს და მშობლიურ უდაბნოს დაუბრუნდნენ. რაღაც უფრო მეტია გოლებისთვის საჭირო. ძალიან საეჭვოა, მავანმა პრინცმა თუ შეიხმა თავისი მოთამაშეების ყელამდე ოქროში ჩასმითაც რომ მოიპოვოს მსოფლიოს ჩემპიონობა (ან ადგილი მერვედფინალში)...

ლუის არაგონესის ნაკრები კი „შესანიშნავ ოთხეულს" შეუერთდა — შეგახსენებთ, რომ გერმანია, ბრაზილია, პორტუგალია და ესპანეთი არიან ის გუნდები, ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრა რომ მოიგეს.

მძიმე თამაში გამოდგა — ესპანეთს მერვედფინალი მატჩამდე ჰქონდა გარანტირებული, ამიტომაც დონ ლუის არაგონესმა პირველ ტაიმში მოედანზე სათადარიგო შემადგენლობას უხმო. არაბებს კიდევ რჩებოდათ ჯგუფიდან გასვლის მიზერული შანსი, თუმცა დიდი ხიფათი არ შეუქმნია. ვერც კასტილიელებმა უჩვენეს მაყურებელს რაიმე განსაკუთრებული — სახიფათო მომენტები ალბედას, ხოაკინს და რაულს ჰქონდათ, თუმც ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს. საერთოდ, გოლის გატანის შემთხვევაში, რაულს მუნდიალებზე ესპანეთის ნაკრების ისტორიაში მთავარმეგოლის ტიტული დაესაკუთრებინა, თუმც გონსალეს ბლანკომ უგოლოდ დატოვა მოედანი...

მატჩის ერთადერთი გოლი ბეტისელმა ხუანიტომ გაიტანა 36-ე წუთზე. ტუნისელებმა თამაშის წესი დაარღვიეს. ხოსე ანტონიო რეიესმა მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩაჭიდა ბურთი და იქ ყველას კასტილიელმა მცველმა ხუანიტომ დაასწრო.

მეორე ტაიმში რაულისა და რეიესის მაგივრად არაგონესმა ნაკრების ახალგაზრდა მეგოლეები, ტორესი და ვილია შეიყვანა. თუმც სხვაობის გაზრდა ვერ მოხერხდა. არაბთაგან აქტიური სულიმანი იყო, მან შეუტია ქრისტიანებს რამდენჯერმე მწვავედ, მაგრამ ბებერი მგელი სანტიაგო კანისარესი უშეცდომო გახლდათ.

მოკლედ, საქმემოთავებულმა ესპანეთმა უილაჯო არაბებს კატა-თაგვობანა ეთამაშა და საეჭვოა, კაიზერსლაუტერნში საქომაგოდ ჩასულ ინჩასებს მშობლიური გუნდის თამაში მოსწონებოდათ. მატჩის ბოლოს არაბთა საჯარიმოზე ტორესი წააკიცეს, მაგრამ მსაჯმა წაუყრუა და პენალტი არ დანიშნა.

ლადო ხომერიკი

საბოლოო ცხრილი						
ესპანეთი	3	3	0	0	8:1	9
უკრაინა	3	2	0	1	5:4	6
ტუნისი	3	0	1	2	3:6	1
საუდეთი	3	0	1	2	2:7	1

შევამ შევა წააქცია და შევამ გაიტანა

AFP ბერლინიდან

შევჩენკო ორგოლიანებში გაერია

უკრაინის ნაკრები მეორე დებიუტანტია განის შემდეგ, რომელმაც მერვედფინალს უწია. ოლეგ ბლოხინის შეგირდები ამას არ იმსახურებდნენო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ტუნისთან არცთუ დამაჯერებლად ითამაშეს, თანაც პარაგვაელმა მსაჯმა კარლოს ამარილიამ რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო, რამაც საბოლოო შედეგზე აშკარად იმოქმედა.

მატჩი რომ საკმაოდ უხეში იქნებოდა, თავიდანვე ეტყობოდა. დებიუტში ხშირ-ხშირი ჯარიმებისა და შეცდომების მეტი საინტერესო არაფერი ყოფილა. ერთხელ, ანდრეი ვორონინმა მოჰპარა ბურთი რადი ჯაიდის, მაგრამ ვერ შეირგო, სეხნია შევჩენკოს ცუდი პასი გაუკეთა და ჩაუჭრეს. ტაიმის შუაწელს უკრაინელებმა ინიციატივა ხელთ იგდეს. რამდენიმე მომენტი ჰქონდა შევჩენკოს. ნელ-ნელა ტუნისსაც გაახსენდა, რომ მოგება სჭირდებოდა და ცოტა გააქტიურდა ზიად ჯაზირის წყალობით, მაგრამ... პირველი ნახევრის ბოლო წამებზე ჯაზირი ანატოლი ტიმოშჩუკს ჩაუხტა ფეხებში, მსაჯმა კი მას უყოყმანოდ მეორე ყვითელი უჩვენა, არადა, შეეძლო, არ მიეცა.

ულიმლამო იყო მეორე ტაიმის დიდი ნაწილიც. უკრაინელები ძირითადად ბურთს აგორებდნენ და წინ წასვლაზე მაინცდამაინც არ ფიქრობდნენ. კაცნაკლულ ტუნისს კი არაფერი გამოსდიოდა. ერთ სახიფათო ჯარიმას თუ არ ჩავთვლით, როცა ანის აიარის დატყმის შემდეგ ბურთი ცოტა ასცდა ევროპელთა კარს, თანაც გზად თითქოს ვორონინს ხელზე გაეხახუნა და ტრაექტორიაც ოდნავ შეიცვალა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ ხელი არ ყოფილა.

მთავარი ამბავი 70-ე წუთზე მოხდა, როცა უკრაინელთა სახიფათო შეტევის მერე შევჩენკოს ფეხები აებლანდა, ან არც აებლანდა, მაგრამ დაეცა. მსაჯიც ადგა და პენალტი დადო. „შევამ" თავადვე დაარტყა და ყველაფერიც აქ გადაწყდა.

ბოლო წუთებში როჟე ლემერი ვა-ბანკზე წავიდა და ბრაზილიური წარმოშობის თავდამსხმელი ფრანსელინო ლუშ სანტუში შეუშვა, რომელსაც ტრავმა ბოლომდე არ მოშუშებია და ფორმაშიც არ არის, თუმცა გოლის გატანის შანსი მაინც მიეცა. მისი თავური ცოტათი ასცდა კარს. იწვალა ვორონინმაც. რომელსაც სამჯერ კარგი მომენტი შექმნა, ოღონდ ალი ბუმნიჟელს ვერაფრით აჯობა და ერთხელ მცველებმაც იყოჩაღეს.

ბიორგი კაკაბაძე

უკრაინა 1:0 ტუნისი

№48. 23 ივნისი. 18.00. ბერლინი „ოლიმპიასტადიონი". 72 000 მაყურებელი

1:0 შევჩენკო (70ბ)

1 შოვკოვსკი

მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი

9 გუსევი — 6 რუსოლი — 22 სვიდერსკი — 2 ნესმაჩნი

4 ტიმოშჩუკი — 8 შელაევი

11 რებროვი — 19 კალინიჩენკო

10 ვორონინი — 7 შევჩენკო

5 ჯაზირი

14 ჩედლი

13 ბუაზიზი — 20 ნამუში

8 ნაფტი — 12 შნარი

19 აიარი — 3 ჰაგუი — 15 ჯაიდი — 6 ტრაბელსი

მწვრთნელი როჟე ლემერი

1 ბუმნიჟელი

შეცვლა: რებროვი – 16. ვორობეი (55), კალინიჩენკო – 14. გუსინი (75), ბუაზიზი – 17. ბენ საადა (79), ჩედლი – 11. სანტოსი (79), შევჩენკო – 15. მილევსკი (88), ნაფტი – 10. გოდბენე (90)

გაფრთხილება: ჯაზირი (9), სვიდერსკი (18), ბუაზიზი (43), ჯაზირი (45), შელაევი (47), ტიმოშჩუკი (61), რუსოლი (65), ჯაიდი (90)

გაძევება: ჯაზირი (45)

მსაჯები: ჯარლოს ამარიალია; ამელიო ანდინიო, მანუელ ბერნალი (პარაგვაი)

18	ჯარიმა	24
3	კუთხური	3
9	ჯარისკენ დარტყმა	9
6	ჯარში დარტყმა	3
2	თამაშგარე	5

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მერვედფინალი. დღეს

კლინსმანმა გაასავსავა შვედებს ბენზინს ჩაუსხამენ?



ჰენრიკ ლარსონი

იურგენ კლინსმანი

ДЛЕС მიუნხენის „ალიანს არენაზე“, 66 ათასი გულშემატკივარის შეძახილებით ფრთაშესხმული და ჯგუფური ეტაპის სამი გამარჯვებით ზურგგამაგრებული გერმანია შვედეთის დამარცხებას და მეოთხედფინალში გასვლას შეეცდება. თუმცა მოდი, უპირველეს ყოვლისა ექიმების სიაში ჩავიხედოთ: გერმანელებს მეკარე იენს ლემანი ჰყავდათ თეძონატკენი, მაგრამ როგორც თავად ამბობს, უკვე აღარაფერი აწუხებს. შვედებს კი თავდამსხმელ ზლატან იბრაჰიმოვიჩის საზარდული „დაუამდათ“ — იბრა საქმეში ბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მარკუს ოლბოკი ისევ მოედნისპირა სკამზე ჩამოჯდება.

ამ წყვილში გამარჯვებული მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, არგენტინას შეხვდება (საეჭვოა არგენტინელებმა მექსიკასთან წააგონ), თუმცა მეოთხედფინალის ხსენებაზე ბუნდესმწვრთნელი იურგენ კლინსმანი ხელებს ასავსებს:

„ამაზე ფიქრს ჯერ გულშიც კი არ ვივლებ. იცოდეთ, შაბათს ჩვენს წინაშე სულ სხვა შვედეთი წარსდება. ჩვენ მოწინააღმდეგეს უდიდეს პატივს ვცემთ და მათი სამივე შეხვედრა საგულდაგულოდ გვაქვს შესწავლილი“.

თავს იმდაბლებს საპირისპირო ბანაკიც. კერძოდ, თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი, რომელმაც ინგლისის ნაკრებთან ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშში, საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე გაათანაბრა ანგარიში, ამბობს, რომ მერვედფინალში ფავორიტი, რა თქმა უნდა, გერმანიაა.

„ისინი მასპინძლები არიან და დიდი მწვრთნელი, იურგენ კლისმანი ჰყავთ, თუმცა ჩვენ სიურპრიზის იმედად ვართ. ინგლისის ნაკრების კარში გატანილმა ორმა გოლმა საკუთარი თავის რწმენა გაგვიათმაგა“ — ამბობს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ფინალის მთავარი გმირი.

გერმანელებისა და შვედების თამაშზე საუბრისას, ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღების ისტორიაზე გამახვილება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორი ნაკრების დაპირისპირება ტრადიციულად პრინციპულია, თუმცა, როგორც გერმანული გაზეთი „დიე ველტი“ წერს, ინგლისელებისა და ჰოლანდიელებისგან განსხვავებით შვედებმა იციან, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა და ფეხბურთს ანგარიშსწორებისთვის არ იყენებენ.

არადა, შვედეთისა და გერმანიის ნაკრებთა ნახევარფინალურ მატჩს, ამ 48 წლის წინ, სწორედ შვედეთში ჩატარებულ მუნდიალზე, აი რა მოჰყვა: მას მერე, რაც მოედანზე ცხრა კაცით დარჩენილ გერმანელებს მასპინძლებმა თამაშის მიწურულს ორი გოლი გაუტანეს და 3:1 დაამარცხეს, გერმანიაში ბენზოგასამართმა სადგურებმა შვედურ მანქანებში საწვავის ჩასხმა იუარეს, ხოლო, რესტორნები ამ სკანდინავიური ეროვნების ხალხს არ ემსახურებოდნენ. უშუალოდ გერმანულმა დელეგაციამ მატჩისშემდგომ ბანკეტზე უარი განაცხადა, ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირის მაშინდელმა პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ცხოვრებაში შვედეთში აღარ ჩავიდოდა.

გერმანია და შვედეთი ერთმანეთს 31-ჯერ შეხვედრიან. აქედან, გერმანელთა ოფიციალურ სტატისტიკის თანახმად, 13-ჯერ შვედებმა გაიმარჯვეს, 12-ჯერ გერმანელებმა, ხოლო ექვსი თამაში ფრედ დასრულდა.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატებს, 1934 წელს გერმანიამ შვედებს 2:1 მოუგო, 1974-ში 4:2, 1958 წლის ამბები კი უკვე გითხარით.

პაპუნა კედია

გერმანია — შვედეთი

მიუნხენი. „ალიანს არენა“. 19.00

1. ლემანი; 3. ფრიდრიხი, 21. მეცელდერი, 17. მერტესაკერი, 16. ლამი; 19. შნაიდერი, 8. ფრინგსი, 13. ბალაკი, 7. შვაინშტაიგერი; 11. კლოზე, 20. პოდოლსკი მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი	1. ისაკსონი; 7. ალექსანდერსონი, 4. ლუკიჩი, 3. მელბერგი, 5. ედმანი; 9. ლიუნგბერგი, 6. ლინდეროტი, 21. ვილჰელმსონი; 16. კალსტრიომი; 11. ლარსონი, 20. ოლბოკი მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)

პიალა კაქტუსზე გაივლის

არგენტინა — მექსიკა

ლაიპციგი. „ცენტრალშტადიონი“. 23.00

1. აბონდანსიერი; 4. კოლოჩინი, 2. აიალა, 6. ჰაინცე; 8. მასკერანო, 5. კამბიასო; 18. მაქსი როდრიგესი, 3. სორინი; 10. რიკელმე; 7. სავიოლა, 9. კრესპო მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი	1. სანჩესი; 16. მ. მენდესი, 5. ოსორიო, 4. მარკესი, 3. სალსიდო; 6. ტორადო, 8. პარდო, 15. კასტრო, 14. პინედა; 9. ბორხეტი, 19. ბრავო მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ლიონელ მესი

„გერმანიაში „ჩუმად“ ჩამოვედით. ხალხი ფავორიტებად არ გვთვლიდა და ეჭვობდნენ კიდეც, რომ 2002 წლის მსგავსად ჯგუფიდან არ გავვარდნილიყავით. თუმცა გუნდმა თანდათან ძალა შეიმატა და მერვედფინალურ მატჩს იმედით ვხვდებით. სიფრთხილეა საჭირო, მექსიკის ნაკრები რთული მეტოქეა“ — განუცხადა ჟურნალისტებს არგენტინის ნაკრების ერთერთმა ლიდერმა რობერტო აიალამ.

პატაგონიელთა გუნდი ჯგუფიდან არ გავარდნილა. პეკერმანის ბიჭებმა კოტ დივუარსა და სერბეთს დამაჯერებლად მოუგეს, ჰოლანდიასთან ფრე ითამაშეს და დღეს მერვედფინალში ურთიერთობის გარკვევა მექსიკასთან მოუწევთ. „ალბისელესტეს“ ძირითადი მეომრები დაუბრუნდებიან — ხოსე პეკერმანმა კაპიტანი ხუან პაბლო სორინი, ცენტრალური მცველი გაბრიელ ჰაინცე, ვერცხლისწყალივით მოძრავი სავიოლა და მეტოქის მცველთა ამკლები ერნან კრესპო ჰოლანდიასთან ჯგუფის ბოლო თამაშში დაასვენა, რათა მექსიკასთან ჯახს ჯანზე მყოფნი შეხვედროდნენ. იქნება ასევე იძულებითი ცვლილებაც — ნიკოლას ბურდისო ტრავმირებულია და დაცვაში მის ადგილს ფაბრიციო კოლოჩინი დაიკავებს, როგორც ეს ჰოლანდიასთან თამაშისას მოხდა.

ორი იუბილარი ჰყავს არგენტინის ეროვნულ გუნდს. 24 ივნისს ხუან რომან რიკელმე 28 წლის ხდება, ლეო მესი კი 19-ის. ცხადია, მოზეიმე ხალხი ბედნიერი დღის უფრო გალამაზებას მექსიკელებთან გამარჯვებით აპირებს. „რიკარდო ლავოლპეს ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ არა ისეთი, რომ დაბადების დღე ჩამიმწაროს“ — უთქვამს ყმაწვილ მესის არგენტინულ „კლარინთან“ საუბარში...

თავადაც პატაგონიელმა ლავოლპემ, მექსიკელი შეგირდები მერვედფინალში გაიყვანა. „მწვანეების“ გუნდისთვის სასიამოვნო ამბავი მოხდა შაბათის მატჩის წინ — ხარედ ბორგეტიმ ტრავმა მოირჩინა და თამაშს მოახერხებს. ბორგეტიმ მარცხენა ფეხი ირანთან მატჩში დაიშავა და ანგოლასთან და პორტუგალიასთან ტრიბუნაზე მოუწია ჯდომა. რაფაელ მარკესი, სალსიდო, პაველ პარდო, გილიერმო ფარნკო და სხვა კაკტუსისქვეყნელი ბიჭებიც ჯანზე არიან და პეკერმანის მოწაფეებთან ბრძოლას შეძლებენ.

მექსიკის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველაზე დიდი წარმატებებს 1970 და 1986-ის მუნდიალებზე მიაღწია — შინ ჩატარებულ ტურნირებზე მექსიკელები მეოთხედფინალებში გავიდნენ, თუმცა იმის იქით ვერაფერი გააწყვეს და კაპიტანმა რაფა მარკესმაც განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს, ჩვენი მიზანი ძველი რეკორდების დამხობა არისო. „ყველანაირად ვეცდებით, მეოთხედფინალს გავცდეთ, სხვა შემთხვევაში მე, მექსიკის გერმანიაში გამოსვლას მარცხად ჩავთვლი“ — დარწმუნებით თქვა „ბარსელონას“ უკანახაზელმა. მეოთხედფინალი გასაგებია, მაგრამ ჯერ მერვედფინალია არგენტინასთან...

ლადო ხომერიკი

ხარედ ბორგეტი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

მერვეددფინალი. ხვალ

ვან ბასტენი ვან ნისტელროის: კუიტი!

პორტუგალია — ჰოლანდია

ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი“. 23.00

1. რიკარდუ; 13. მიგელი, 5. ფ. მეირა, 16. რ. კარვალიუ, 14. ნუნუ ვალენტე; 6. კოშტინია, 18. მანიშე; 20. დეკუ, 7. ფიგუ, 17. კ. რონალდუ; 9. პაულეტა
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

1. ვან დერ სარი; 13. ოიერი, 3. ბულარუზი, 4. მატიისენი, 5. ვან ბრონკჰორსტი; 8. კოკუ, 18. ვან ბომელი, 20. სნეიდერი; 17. ვან პერსი, 9. ვან ნისტელროი, 11. რობენი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

პორტუგალიელ თავდამსხმელ ელდერ პოშტიგას კერპი მარკო ვან ბასტენი ყოფილა. ფრანგული „სენტ ეტიენის“ ფორვარდს ლეგენდარული ჰოლანდიელის ავტოგრაფიც უნდა და მისი ნაკრების დამარცხებაც.

„ვან ბასტენი ჩემი საყვარელი მოთამაშე იყო. შესაძლოა, მატჩის შემდეგ მას ავტოგრაფი ჩამოვართვა. თამაში კი უაღრესად დაძაბული და საინტერესო უნდა გამოვიდეს, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ჰოლანდია ბრწყინვალე ნაკრებია და მძიმე ბრძოლა გველის“ — აღნიშნა პოშტიგამ.

ჰოლანდია და პორტუგალია აქამდე ერთმანეთს ცხრაჯერ შეხვედრიან. აქედან 5 მატჩი ლუზიტანების ტრიუმფით დასრულდა, სამი ფრედ, ხოლო „ნარინჯისფერებმა“ ოდენ ერთხელ, 1991 წელს მოიგეს. მარკო ვან ბასტენი და მისი ამალა ამ სტატისტიკის გამოსწორებას აპირებს და გამარჯვებისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ამ ნაკრებების შეხვედრა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში შედგა და პორტუგალიამ 2:1 იძალა.

მარკო ვან ბასტენი: „გაიზარდა იმის შანსი, რომ პორტუგალიასთან ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში დირკ კუიტი იქნება. ვან ნისტელროისგან მეტს ველით, თან ჩვენს შეტევებში და წარმატებაში უფრო დიდი როლი უნდა ითამაშოს. მესმის, რომ იგი უკმაყოფილოა, როცა ცვლიან, მაგრამ ამაზე ზედმეტი ლაპარაკი არ ღირს, როდესაც რუუდი სათანადოდ ითამაშებს, არც შეიცვლება. იგივე ეხება სხვა ფეხბურთელებსაც, ყველა ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ცუდი გუნდი და მოსაგებად ვემზადებით. ვარჯიშს ვიწყებთ პენალტებშიც, რადგან პლეი ოფში ეს შეიძლება ნებისმიერ მატჩში დაგვჭირდეს და მზად უნდა ვიყოთ“.

ორივე ნაკრები, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში დასვენებულ ფეხბურთელებს დააბრუნებს ძირითად შემადგენლობაში. ჰოლანდიელები ჩვეული 4-3-3-ით ითამაშებენ. პორტუგალიელები კი 4-5-1-ით, მაგრამ ეს პირობითია. როგორც იცით, ერთადერთ ნომინალურ ფორვარდს, პედრო პაულეტას, ფაქტობრივად, ერთბაშად ოთხი ნახევარმცველი ეხმარება შეტევაში.

ჰოლანდიელთა პლეიმეიკერი რაფაელ ვან დერ ვაარტი ცოტა ხნის წინ კი მომჯობინდა და მუნდიალზე უკვე ითამაშა კიდეც, მაგრამ ფორმაში აშკარად არ არის და ისევ სათადარიგო იქნება. აი, ხალიდ ბულარუზმა კი არგენტინასთან მატჩში ვან ბასტენს თავი მოაწონა და ძირითადში ჯონი ჰეიტინგას ნაცვლად მოხვდება.

პორტუგალიელთა მცველი პაულო ფერეირა: „ჩვენი მთავარი პრობლემა რობენი იქნება. მისი შეჩერება ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ. არიენთან ერთად დიდი ხანია, „ჩელსიში“ ვთამაშობ და ვიცი, რაც შეუძლია. თანაც მუნდიალს ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა. ჰოლანდიას ძლიერი ნაკრები ჰყავს და პატივს ვცემთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ.“

„თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ და საწყისი მღელვარებაც დავიწყებას მიეცა, რაც ძალიან კარგია. მეტოქე მართლაც ძლიერი გვყავს, მაგრამ თუ ფინალში გასვლა გინდა, ნებისმიერ მეტოქეს უნდა მოუგო“ — თქვა პორტუგალიელთა კაპიტანმა ლუიშ ფიგუმ.

გიორგი კაკაბაძე

დირკ კუიტი

თქვენთან დიდი ბოდიში

ინგლისი — ეკვადორი

შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი“. 19.00

1. რობინსონი; 15. კარაგერი, 5. ფერდინანდი, 6. ტერი, 3. ე. კოული; 7. ბექემი, 4. ჯერარდი, 8. ლამპარდი, 11. ჯ. კოული; 9. რუნი, 21. კრაუჩი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

12. მორა; 4. დე ლა კრუზი, 3. ურტადო, 17. ესპინოზა, 18. რეასკო; 8. ე. მენდესი, 20. ე. ტენორიო, 14. კასტილიო, 16. ვალენსია; 11. ა. დელგადო, 21. კ. ტენორიო
მწვრთნელი: ლუის სუარესი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

ხვალ გაირკვევა, სულ მცირე, რამდენიმე დღით კიდევ იქნება სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრების მწვრთნელი თუ ეკვადორელებს დაუტოვებს „ეპოლეტებს“. მართლაც, ყველაფერი მარტივადაა — თუ ინგლისი მოიგებს, ფეხბურთის სამშობლოს ერთადერთი ტიტულის მოპოვებიდან 40 წლისთავზე მეორე ტრიუმფის იმედი შერჩება, ხოლო თუ წააგებს, შვედს „ოქროს თაობის“ დალუპვას დაუბრალებენ.

საკუთრივ ერიკსონი მერვედფინალიდან გავარდნას მსჯელობის თემად არც მიიჩნევს. თავად მოვუსმინოთ:

„დიახ, ფეხბურთი ფეხბურთია და 90 წუთის განმავლობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეკვადორთან დიდი ბოდიში და ეჭვი არ მეპარება, რომ მეოთხედფინალში ინგლისი გავა“.

აღსანიშნავია, რომ ერიკსონის ასეთი თვითდარწმუნება იმ საშინელი კვირის ბოლოს ეmთხვევა, როდესაც ინგლისის ნაკრების თავდასხმას ყველაზე საშინელი პროგნოზი აუხდა — უეინ რუნის ჯერაც ბოლომდე მოურჩენელ ტრავმას, მაიკლ ოუენის ახალი და მეტად მძიმე დაშავება დაერთო ზედ. ერთი სიტყვით, მთელი პასუხისმგებლობა და სიმძიმე რუნის დააწვა კისერზე. არადა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს ამ ჩემპიონატზე ყველაზე მეტი, 68 წუთი აქვს მოედანზე გატარებული შვედეთთან ბოლო შეხვედრაში.

ერიკსონმა, როგორც საერთოდ სჩვევია, ეკვადორთან შეხვედრის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მომავალი მატჩისთვის შერჩეული ტაქტიკის შესახებ არაფერი თქვა, მაგრამ მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ შვედი, ფეხბურთელებს მოედანზე 4-5-1 სისტემით განალაგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ წინ ერთადერთი ფორვარდის საქმეს რუნი შეასრულებს, ხოლო მის უკან, ჩვეულებრივთან შედარებით, თავდასხმისკენ წაწეული სტივენ ჯერარდი დადგება.

„რუნის ასე თამაშიც შეუძლია და ნებისმიერ სხვა დავალებასაც ჩინებულად შეასრულებს — ბრძანა ერიკსონმა — მეტიც, მარჯვენა მცველად რომ გამოვიყვანო, გარწმუნებთ, იქაც დიდებული იქნება“.

რასაკვირველია, არსებობს ალტერნატიული ვარიანტიც: 4-4-2. ამ განლაგების შემთხვევაში ინგლისს ორი თავდამსხმელი ეყოლება, რუნი და პიტერ კრაუჩი, თუმცა ამჯერად ერიკსონისგან უფრო საავარაუდოა ხუთი ნახევარმცველით თამაში და აი, რატომ — შვედეთთან დიდებული იყო ოუენ ჰარგრივსი, რომლის სკამზე დასმა უბრალოდ შეცდომა იქნებოდა, ხოლო მისი თამაში ზემოხსენებული ჯერარდისა და ფრენკ ლამპარდის წინ წაწევის საშუალებას მისცემდა ინგლისის ნაკრებს.

ერთი სიტყვით, მოედნის შუაში საქმე ასარჩევადაა, დაცვაში კი ვაგლახ, მოულოდნელი პრობლემები გამოჩნდა. მოგეხსენებათ, პირველ და მეორე ტურებში ინგლისელებმა გოლები არ გაუშვეს და ბრიტანულ პრესში ჩემპიონატის საუკეთესო დაცვის ხაზობაზე გაჩნდა პრეტენზია, მაგრამ მოვიდნენ ბოლო ტურში შვედები და ამ ნაქებ დაცვას ისეთი საგიჟეთი მოუწყვეს, თქვენი მოწონებული.

„მწამს ასეთი რამ არ განმეორდება“ — თქვა ამაზე ერიკსონმა.

ეკვადორი კი, სავარაუდოდ, იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რომლითაც პოლონეთს და კოსტა რიკას სძლია. ნახევარდაცვაში ვიხილავთ სეგუნდო კასტილიოს, ხოლო წინ კარლოს ტენორიო აუგუსტინ დელგადოს შეუწყვილდება.

პაპუნა კედია

გიო ახვლედიანის სვეტეული

ზვიგენი, ლიმუზინი და ტუჯმანი



ბრემ პოლს ოცნება ჰქონდა: ფინალი ემსაჯა.

ამ საქმეში, მგონი, ის თუ უშლიდა ხელს, რომ მისი ქვეყნის ნაკრები არ გასულიყო ფინალში.

ინგლისი ფინალში პირველად და უკანასკნელად ორმოცი წლის წინათ იყო. ამიტომ პოლი ალბათ ფიქრობდა, რომ ფინალის მონაწილე ერთადერთი ინგლისელი თავად იქნებოდა. ამის დიდი შანსი არსებობდა. პოლი მაგარი მსაჯია. თუმცა ხორვატია — ავსტრალიის შემდეგ ვეღარავინ იტყვის თავდაჯერებით, პოლი ფინალის განმსჯელ ერთ-ერთ კაცად რჩებაო.

ამბავი ის კი არ არის, რომ პოლმა ხორვატების კარში მეორე პენალტი არ დადო და თამაშგარედან გატანილი გოლი ჩათვალა, არამედ ის, რომ იოსიპ შიმუნიჩის გაძევება დაავიწყდა: მეორე ყვითელი უჩვენა, წითლის ამოღება კი დაავიწყდა. ხორვატი მერეღა გააძევა, თამაში რომ დამთავრდა. თამაშის ბოლო ძალიან დაძაბული იყო, პოლი კი გაოფლილი.

ამ ჩემპიონატში ხომ მთავარი რამეები თამაშის ბოლოსკენ ხდება.

მისტერ პოლიც ბოლოსკენ აიჭრა, მანამდე არაუშავდა.

ჰოდა, ახლა ფინალს უნდა მოელოდეს? ძნელი წარმოსადგენია.

მარკ ვიდუკამ ვერ გაიტანა. იატაკქვეშა საფსონე გამოთვლებისთვის კი არ ვყვები, ისე გამახსენდა: ვიდუკა ხო ხორვატია. საერთოდ, ამ კაცს უცნაური ისტორია აქვს და შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ ხუთშაბათს ვიდუკას ხორვატიის ნაკრებში ეთამაშა. ვიდუკა ხომ ხორვატიის აწგარდაცვლილმა პრეზიდენტმა, გენერალმა ფრანიო ტუჯმანმა წამოიყვანა ავსტრალიიდან: იქ ნახა, მოეწონა, გამოიკითხა, შეხვდა და იფიქრა, ეს ბიჭი ჩემს (და თავის) ქვეყანას გამოადგებაო. გამოირკვა, რომ ვიდუკა ხორვატიის ნაკრებში ვეღარ ითამაშებდა, მაგრამ ტუჯმანმა ზაგრების „დინამოში“ (მაშინ ამ გუნდს ტუჯმანისავე სურვილით „კროაცია“ დაარქვა) თამაში შესთავაზა და ახალგაზრდა ვიდუკაც დათანხმდა, სწორედ ზაგრებიდან მოხვდა ვიდუკა ჯერ გლაზგოში, მერე კი ლიდსში, საიდანაც მსოფლიომ გაიცნო.

ახლა ავსტრალია იტალიას ხვდება მერვედფინალში და კრისტიან ვიერი რომ ნაკრებში იყოს, შეგვეძლო იგივე გვეთქვა: ბედი რომ სხვაგვარად დატრიალებულიყო, ვიერი ავსტრალიელთა თავდასხმის ლიდერი იქნებოდა, რახან ავსტრალიაში დაიბადა.

ავსტრალიური ფეხბურთის ერთი თავისებურება ის არის, რომ იქ ათწლეულების განმავლობაში ფეხბურთს თამაშობდნენ სლავურ, იტალიურ, ბერძნულ თემებში და გუნდებიც ნაციონალური პრინციპით დგებოდა. ინგლო-საქსური ელემენტი კანტიკუნტი იყო. ახლა ეს საქმე ამოწეულია, თუმცა ფეხბურთს მაინც უფრო ნახსენებ თემებში ეტანებიან, სადაც რაგბი ეგრეც ვერ შეიქნა უსაყვარლესი რამ. ამიტომაც ამდენი ბოსნიჩი, კალაჩი, კულინა, სტერიოვსკი, ბრეშიანო, ვიდუკა, ლაზარიდისი და სხვა ათასი. თუმცა იქვე არიან მური, კიუელი და ჩიპერფილდი.

საინტერესო კულტურაა. ავსტრალიური ფეხბურთი ყოველთვის ისეთი მიკარგული იყო, როგორც კალაჰარის უდაბნო. კარგი მწვრთნელები ძალიან წაადგნენ ამ ქვეყნის ნაკრებს, რომელიც კარგა ხანია, ფორმალურად თამაშობს ოკეანეთის შესარჩევ ციკლში და მთავარი ბრძოლა მერე აქვს ხოლმე გადასახდელი. ტერი ვენეიბლზის ხელში სოკერუებმა ირანს ვერ აჯობეს, ამ ბრაზიანმა და ჭკვიანმა გუსმა კი აგე, 16 საუკეთესოში შეიყვანა.

ადვილი მისახვედრია, რატომ მოისურვა რუსეთმა გუსი.

რუსეთი იმგვარ პოლიტიკას მისდევს, რომ ყველაფერში თავგამოჩენილი იყოს. რუსებმა იციან, რომ ყველაზე რთული თავის გამოჩენა ფეხბურთშია. მეორე მხრივ, ისინი ფიქრობენ, რომ კორეელებზე და ავსტრალიელებზე უკეთ თამაშობენ ფეხბურთს, აქვთ დიდი ტრადიცია, მოუგიათ ოლიმპიადები, ევროპის ჩემპიონობა, მსოფლიოს ოთხეული, უევროპული ფინალი. მაგრამ ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირისა იყო. რუსეთი კი ჭირვეული და უიღბლო ნაკრები გამოდგა, ინტრიგებით, ჩხუბებით და სხვა ათასი სისულელით სავსე. ვერც ერთმა რუსმა მწვრთნელმა ვერ შეძლო მეტნაკლებად ორგანიზებული და მეგობრული გუნდის შეკვრა.

ჰოდა, ახლა გუსი.

ეს საკმაოდ მძიმე ნაბიჯი ჩანს რუსებისგან: უცხოელი მწვრთნელის მოყვანა.

თითქმის ისეა, როგორც რუსულ მატიანეებში წერია: მიწა რუსეთისა დიდი იყო, ოღონდ იქ წესრიგი არ იყო... მერე კიდევ მოვიდა ვარიაგი რიურიკი და დაამყარა წესრიგიო. მგონი, გუსი მოერევა რუს ფეხბურთელებს და მათი მეშვეობით ბევრს სხვასაც. გუსის ხელობა ასეთია: ის ერევა ვიღაცეებს, საკმაოდ ბევრს. ამიტომ რუსებისთვის მისი მოყვანა საუკეთესო ვარიანტია.

იმ დღეს მეგობარი შემხვდა და კაი რამე მითხრა რონალდოზე:

ხო ვერ თამაშობს ისეო, ხო მსუქანიაო (მოკლედ, რასაც ლაპარაკობდნენ ამ დღეებში), მაგრამ, აბა, თუ იცი, რას გავსო? რას მეთქი და, ზვიგენსო. დიდი თეთრი ზვიგენი რომ დაცურავს წყალში ძალიან ნელაო და მითვლემილიო. ისეთი ,ერით, რომ ახალი ნასადილევი გეგონება და ამიტომაც გგონია, რომ ვერ შემოგიტევსო. მაგრამ, აბა, ზვიგენისას რას გაიგებ, ეგებ სულაც არ არის ახალი ნასადილევი. უცებ ეს მთვლემარე და მოლიელივე ისე მოგახტება და მოგაჭამს ფეხს, ვერაფერს იზამო.

ნამდვილად ასეა.

მძინარე ზვიგენიც საშიშია.

მე, სიმართლე რომ ითქვას, უფრო მშვიდობიანი შედარება მქონდა თავში. ერთხელ ერთ დიდ ქალაქში სასტუმრო „რიცის“ წინ ლიმუზინი იდგა. გაკრიალებული, მშვიდი, მედიდური და ელეგანტური. არ ვიცი, ვინ უნდა ჩამჯდარიყო შიგ, მაგრამ ამ მანქანის საკვირველება ის იყო, რომ საჭე არ ჰქონდა. იდგა ასე დაკეტილი, რულის გარეშე და მეც ვიდექი უსაქმურად და ვუყურებდი. მერე მოვიდა ოთხი კაცი, რომლებსაც დიდი თავაზიანობით მოჰქონდათ საჭე. ჩასხდნენ, ჩაუყენეს საჭე, დაამაგრეს, მოუჭირეს-მოუჭირეს და მერე დაძრეს მანქანა. ოციოდ ნაბიჯი გაატარეს. გასრიალდა ლამაზად, უხმაუროდ, გემრიელად და მერე უკანაც მოსრიალდა.

მე ვიფიქრე, რომ რონალდო იმ ლიმუზინს ჰგავდა.

მაგრამ, მგონი, ზვიგენი უკეთესია.

აი, ორი კაცი რონალდოსგან შორს ზის ჩაცხელებულ ქალაქ თბილისში და ფიქრობს, რას შეიძლება ჰგავდეს რონალდო. ეს მშვენიერია. ეს იმას გვეუბნება, რომ რონალდო ვინმეა. ენახოთ რონალდო მერვედფინალში და ვიფიქროთ, რას ჰგავს. ასეთი ფიქრები გონებას ანვითარებს, იმაზე მეტად, ვიდრე შედეგების გამოცნობა. თუმცა ასეთი ფიქრებით ფულს ვერ მოიგებ. სამაგიეროდ, გაერთობი.

ახლა კი მთავარია, განელებმა არ ჩათვალონ, რომ თავისი წილი მსოფლიო თასი უკვე მოიპოვეს.

უფრო საინტერესო იქნება ბრაზილია — განა.

იფ...



გრემ პოლმა საფინალო შანსები ძალიან შეიმცირა

გუს ჰიდინკს ყვირილი რუსებთან უფრო მეტი მოუწევს



რიკელმეს მექსიკური დაბადების დღე

24 ივნისი ხუან რომან რიკელმესთვის ჩვეულებრივი დღე არ არის. არგენტინელი, რომელიც კარიერაში პირველად თამაშობს მუნდიალზე, 28-ე დაბადების დღეს მერვედფინალში, მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლით აღნიშნავს. „ვილიარეალის“ და პატაგონიის ეროვნული გუნდის ვარსკვლავს FIFA.COM-ის ჟურნალისტი გაესაუბრა

— სენიორ რიკელმე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ რას გვეტყვით?

— გერმანიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რომ მიზანი ავისრულე — მუნდიალზე მონაწილეობა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ვცდილობ, ტურნირიდან რაც შეიძლება მეტი გამოცდილება მივიღო.

— C ჯგუფის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. სპეციალისტებმა არგენტინის, კოტ დივუარის, სერბეთისა და ჰოლანდიის ოთხეულს „სიკვდილის ჯგუფიც“ შეარქვეს, თუმც მერვედფინალში მაინც შედარებით იოლად გახვედით...

— მართლაც რთული ჯგუფი იყო, ძლიერი მეტოქეები გვყავდა. ამიტომაც არგენტინის მერვედფინალში გასვლა სათანადოდ უნდა შევაფასოთ. სამწუხაროდ, ჰოლანდიასთან მოგება ვერ შევძელით, თუმცა ჯგუფში ძირითადი მიზანი, ანუ მერვედფინალში გასვლა, უკვე მიღწეულია. თან ვთვლი, რომ ეს, ლამაზი ფეხბურთით შევძელით.

— არგენტინას დანარჩენი გუნდებისგან რა გამოარჩევს?

— ჩვენ, ჩვენს სათამაშო მანერას ვცემთ პატივს. მგონი, მუნდიალზე ყველა ხედავს, რა შემტევ სტილშიც ვბურთაობთ. არგენტინა მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადის, მნიშვნელობა არ აქვს, მეტოქე ვინ გვეყოლება. გუნდში ახლა კარგი განწყობაა, შედეგით ყველანი კმაყოფილნი ვართ და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

— „ალბისელესტემ“ ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტად თავი რითი გამოიჩინა? ნაკრების ყველაზე ძლიერ მხარეზე გეკითხებით...

— გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა. ჯგუფში ყველამ კარგად ითამაშა. გავიხსენოთ — ჰოლანდიასთან სათადარიგოში მყოფი ბიჭები გამოვიდნენ და ურიგოდ არ უთამაშიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკრები საკუთარ სტილს ცვლილებების დროსაც ინარჩუნებს.

— ადრე ამბობდით, რომ მოედანზე თამაში მაშინ გამოგდიოდათ, როცა თქვენს გუნდებში კარგი ატმოსფერო იყო. არგენტინის დღევანდელ ნაკრებში ხომ არ გექმნებათ პრობლემები ამასთან დაკავშირებით?

— არავითარი პრობლემები არ არსებობს. როცა ვთამაშობ, ბედნიერი ვარ, როგორც არგენტინის ნაკრებში, ისევე ჩემს კლუბ „ვილიარეალში“. ეროვნული გუნდის მიმართ სასაყვედურო არაფერი მეთქმის.

— მერვედფინალში მექსიკას უნდა შეხვდეთ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ გუნდის შესახებ?

— ძლიერი გუნდია, რომელიც ბოლომდე იბრძვის გამარჯვებისთვის. გასულ წელს მექსიკელებთან კონფედერაციათა თასზე გავიჭირდა, ამიტომაც წლეულს მათ განსაკუთრებულად მომზადებულები უნდა შევხვდეთ. შეცდომების უფლება არ გვაქვს, რადგანაც წაგების შემთხვევაში მუნდიალს გამოვეთიშებით.

— დასასრულს, რიკელმეს ყველაზე სანუკვარ ოცნებაზეც ვილაპარაკოთ...

— ჩემი ოცნებაა მუნდიალის ბოლომდე მივიდე. შესანიშნავი იქნება, თუ ბერლინის ფინალში ვითამაშებთ...

ოთხმატჩიანი ნაკერი

იტალიელი ნახევარმცველი დანიელე დე როსი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. შეგახსენებთ, რომ „რომას“ ფეხბურთელმა აშშ-სთან მატჩში ბრაიან მაკბრაიდს სახეში იდაყვი ჰკრა, რის გამოც „ფულემის“ თავდამსხმელს სამი ნაკერი დაადეს. დე როსის 6 400 ევროს გადახდაც მოუწევს.

შეიძლება ითქვას, რომ დე როსისთვის მუნდიალი დასრულდა. თუმცა იგი ნაკრებთან ერთად დარჩება, რადგან თუ იტალია ფინალში გავა ან მესამე ადგილისთვის მატჩში ითამაშებს, მინდორზე გასვლის უფლება ეუნება. რა თქმა უნდა, მარჩელო ლიპი მას ჯენარო გატუზოს ან ანდრეა პირლოს თუ ამჯობინებს.

აშშ - იტალიის შეხვედრაში კიდევ ორი მოთამაშე გააძევეს, ამერიკელები — პაბლო მასტროენი და ედი პოუპი. მასტროენი პირლოს ეუხეშა, რისთვისაც ფიფასგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, და 4 800 ევროთიც დაჯარიმეს. აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ მეოთხე მატჩი იყო მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, რომელშიც ერთბაშად სამი ფეხბურთელი გააძევეს.

ძოკი კანდელაკი

სამი ეჭვმიტანილი მოედანი

მოედნების უხარისხობის გამო ტრავმები გახშირდაო

მიმდინარე მუნდიალზე მოედნების მდგომარეობით, უკმაყოფილო ბევრია. არადა, სპეციალურად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მაისის შუა რიცხვებში ყველა მოედანზე ბალახი გამოცვალეს, მაგრამ მის სათანადოდ გაზრდას ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი.

„ზამთარი უჩვეულოდ ცივი გამოდგა და გაზაფხულზეც ხშირად ცუდი ამინდი იყო. ეს ვერ გავთვალეთ და მინდვრების მდგომარეობით ბოლომდე კმაყოფილნი არ ვართ. ეს განსაკუთრებით ჰამბურგს, კიოლნსა და გელზენკირხენს ეხება“ — აღნიშნა მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ვოლფგანგ ნაირსბახმა.

აღსანიშნავია, რომ ჰამბურგისა და გელზენკირხენის სტადიონებზე თითო მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება. კიოლნი კი 26 ივნისს ერთ-ერთ მერვედფინალურ შეხვედრას უმასპინძლებს. ამის თაობაზე საინტერესო განცხადება გააკეთა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. მისი თქმით, ამგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შესაძლოა, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ხელოვნურ მინდორზე ჩატარდეს.

გიორგი ძაძაგაძე

რამოსი სამოსს იცვლის

ინგლისური მედიის ცნობით, „ჩელსი“ მადრიდის „რეალის“ მცველ სერხიო რამოსის ყიდვას აპირებს. ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან უნდათ და კლუბის პატრონი რომან აბრამოვიჩი ხარჯებს არ მოერიდება. „სტემფორდ ბრიჯს“ მომავალში გალასი ტოვებს, არ არის გამორიცხული, ჟოზე მაურინიუსთან კონფლიქტში მყოფი კარვალიუც წავიდეს. აბრამოვიჩმა სერხიო რამოსს იმიტომაც დაადგა თვალი, რომ „ჩელსი“ გააძლიეროს.

საქმეში უკვე პიტერ კინიონი, „ჩელსის“ სპორტული დირექტორი და ტრანსფერებზე პასუხისმგებელი კაცია ჩართული. კინიონს „რეალთან“ კარგი ურთიერთობა აქვს, თავის დროზე „მანჩესტერის“ დირექტორმა ესპანელებთან, დევიდ ბექემის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგების ამბავი მოაგვარა.

„რამოსი ჯერ მხოლოდ 20 წლის არის, თუმცა ჩვენი გუნდის დაცვაში თამაშში ეს ხელს არ შეუშლის“ — განაცხადა ჟოზე მაურინიუმ.

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ნიკოლაძე ნიკოლოზ. თამაზ თამაზაშვილი
უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული მედგომი
• უახლესი ატაკამატული ტექნოლოგიები

HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკა-კავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეუნიერო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

სარგებელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

გაიხსნა ᲙᲠᲝᲙᲘᲡ ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		24 ივნისი						
23:00	400	არგენტინა-მექსიკა	1.35	3.70	12.00	1.00	1.21	2.82
19:00	535	გერმანია-შვედეთი	1.82	3.00	4.80	1.13	1.31	1.84
		25 ივნისი						
23:00	401	ჰოლანდია-პორტუგალია	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
19:00	537	ინგლისი-ეკვადორი	1.50	3.40	8.00	1.04	1.26	2.38
19:00	538	ინგლისი-ეკვადორი 0:1	2.15	3.40	2.55			
		26 ივნისი						
19:00	402	იტალია-ავსტრალია	1.47	3.70	7.00	1.05	1.21	2.42
		27 ივნისი						
19:00	404	ბრაზილია-განა	1.30	4.60	9.50	1.01	1.14	3.09
		შვედეთი. სუპერეტა						
		25 ივნისი						
16:00	283	ასირია-ატვიდაბერგი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
16:00	284	იონკოპინგი-ფალკენბერგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
16:00	285	ქვიდინგი-იორებრო	5.10	3.60	1.50	2.11	1.15	1.05
16:00	286	ვესბი-სუნდსვალი	2.20	3.10	2.85	1.28	1.24	1.48
22:00	287	მიალბი-უმეა	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		26 ივნისი						
21:00	288	ლანდსკრონა-დეგერფორსი	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
21:00	289	ნორჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:00	290	ტრელებორგი-ლიუნგსკილე	1.70	3.40	3.95	1.13	1.18	1.82
		აშშ						
		24 ივნისი						
23:45	304	კოლამბუსი-ჩივასი	1.90	3.10	3.40	1.17	1.21	1.62
23:45	305	ვაშინგტონი-კანზასი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
23:45	306	დალასი-კოლორადო	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
23:45	307	სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
23:45	308	ლოს ანჯელესი-ჰიუსტონი	2.80	3.00	2.25	1.44	1.24	1.28
		25 ივნისი						
23:45	309	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15400	არგენტინა-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15401	ჰოლანდია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15402	იტალია-ავსტრალია	3.00	2.80	2.00
15404	ბრაზილია-განა	3.00	2.80	2.00
15535	გერმანია-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15537	ინგლისი-ეკვადორი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16400	არგენტინა-მექსიკა	1.11	4.50
16401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.60	1.95
16402	იტალია-ავსტრალია	1.15	4.00
16404	ბრაზილია-განა	1.06	5.50
16535	გერმანია-შვედეთი	1.32	2.80
16537	ინგლისი-ეკვადორი	1.15	4.10

გოლი:ფსევდონიმი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევდონიმად)

17400	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.95
17401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.85	1.95
17402	იტალია-ავსტრალია	1.85	1.95
17404	ბრაზილია-განა	1.85	1.95
17535	გერმანია-შვედეთი	1.85	1.95
17537	ინგლისი-ეკვადორი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12400	არგენტინა-მექსიკა	1.70	1.90
12401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.60	1.90
12402	იტალია-ავსტრალია	1.60	2.00
12404	ბრაზილია-განა	2.00	1.60
12535	გერმანია-შვედეთი	1.70	1.90
12537	ინგლისი-ეკვადორი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13400	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.60
13401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	1.80
13402	იტალია-ავსტრალია	1.80	1.80
13404	ბრაზილია-განა	1.85	1.65
13535	გერმანია-შვედეთი	1.70	1.90
13537	ინგლისი-ეკვადორი	1.90	1.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ფასდებულად ჩაითვლება)

14400	არგენტინა-მექსიკა	1.15	2.60
14401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	2.00
14402	იტალია-ავსტრალია	1.20	2.60
14404	ბრაზილია-განა	1.05	2.90
14535	გერმანია-შვედეთი	1.45	2.20
14537	ინგლისი-ეკვადორი	1.23	2.35

ვინ დაიწყებს თამაშს

19400	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.85
19401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.85	1.85
19402	იტალია-ავსტრალია	1.85	1.85
19404	ბრაზილია-განა	1.85	1.85
19535	გერმანია-შვედეთი	1.85	1.85
19537	ინგლისი-ეკვადორი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24400	არგენტინა-მექსიკა	1.80	1.80
24401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	1.80
24402	იტალია-ავსტრალია	1.80	1.80
24404	ბრაზილია-განა	1.80	1.80
24535	გერმანია-შვედეთი	1.80	1.80
24537	ინგლისი-ეკვადორი	1.80	1.80

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18400	**არგენტინა-მექსიკა**	**1.13**	**4.70**
18401	**ჰოლანდია-პორტუგალია**	**1.65**	**2.00**
18535	**გერმანია-შვედეთი**	**1.33**	**3.00**
18537	**ინგლისი-ეკვადორი**	**1.17**	**4.30**

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20400	არგენტინა-მექსიკა	1.55	2.00
20401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.70	1.90
20535	გერმანია-შვედეთი	1.60	1.90
20537	ინგლისი-ეკვადორი	1.55	2.00

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21400	**არგენტინა-მექსიკა**	**1.90**	**10.00**	**1.60**
21401	**ჰოლანდია-პორტუგალია**	**1.90**	**10.00**	**1.70**
21535	**გერმანია-შვედეთი**	**1.90**	**10.00**	**1.65**
21537	**ინგლისი-ეკვადორი**	**1.90**	**10.00**	**1.60**

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22400	არგენტინა-მექსიკა	1.90	1.70
22401	ჰოლანდია-პორტუგალია	1.80	1.80
22535	გერმანია-შვედეთი	1.80	1.80
22537	ინგლისი-ეკვადორი	1.70	1.90

იძენება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23400	არგენტინა-მექსიკა	3.00	1.30
23401	ჰოლანდია-პორტუგალია	3.00	1.30
23535	გერმანია-შვედეთი	3.00	1.30
23537	ინგლისი-ეკვადორი	3.00	1.30

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10400	არგენტინა-მექსიკა	1.70	2.30	6.70	1.00	1.35	1.71
10401	ჰოლანდია-პორტუგალია	2.70	2.00	3.45	1.14	1.51	1.26
10402	იტალია-ავსტრალია	1.80	2.20	6.30	1.00	1.39	1.63
10404	ბრაზილია-განა	1.55	2.70	9.00	1.00	1.32	2.07
10535	გერმანია-შვედეთი	2.20	2.00	4.40	1.04	1.46	1.37
10537	ინგლისი-ეკვადორი	1.90	2.10	6.00	1.00	1.44	1.55

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11400	არგენტინა-მექსიკა	1.80	12.00	25.00	3.40	4.80	11.00	20.00	11.00	11.00
11401	ჰოლანდია-პორტუგალია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.50
11402	იტალია-ავსტრალია	2.00	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11404	ბრაზილია-განა	1.60	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11535	გერმანია-შვედეთი	2.50	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11537	ინგლისი-ეკვადორი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	8.50	20.00	10.00	12.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

თბილისი. 24 ივნისი. 19 საათი. მიხეილ მესხი

დინამო — კილიკია

პირველი მატჩი 5:1

დინამო ფორმალობის წინ

დღეს „დინამო“ სომხურ „კილიკიას“ მასპინძლობს და ალბათ ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე თამაშსაც ოფიციალურად გაინაღდებს.

თბილისელებმა მეტოქე ერევანში 5:1 გაანადგურეს და, აბა, როგორ არ ვთქვათ, ყველაფერი დამთავრებულიაო...

გუშინ კი გუნდებმა მატჩისწინა ბოლო ვარჯიშები გამართეს „მიხეილ მესხზე“ — მოედანზე ჯერ კახა კაჭარავას შეგირდები გავიდნენ, მერე კი აშოტ ბარსეგიანი გაუძღვა თავისიანებს.

შეგახსენებთ, რომ „კილიკიას“ გავლის შემდეგ „დინამოს“ ავსტრიულ „რიდთან“ მოუწევს გაჯიბრება.

ბურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ბურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

რა გითხრათ, რით გაგაკვირვოთ?!

რუსთავის ოლიმპი საპნის ბუშტივით გასკდა

მეტისმეტად მყიფე აღმოჩნდა „თბილისის“ ბაზაზე ახალი, ამბიციური გუნდის ჩამოყალიბების იდეა. რუსთავის „ოლიმპმა“, რომლის დაბადებასაც საკმაო ინტერესით შეხვდა საფეხბურთო სამყარო, გუშინ ერთხელაც ივარჯიშა და... დაიშალა.

უცნობია კლუბის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკების დეტალები, თუმცა ამ შემთხვევაში ამას ალბათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ პროექტი ჩაიშალა და ფეხბურთელები, რომლებიც ზურაბ ჯაფარიძეს „ბათუმიდან“ მიჰყავდა რუსთავის „ოლიმპში“, დღეს იმავ „ბათუმის“ სახელით ტრანსფერზე არიან დაყენებულნი. ჩვენთან საუბარში თავად ზურაბ ჯაფარიძემაც დაადასტურა, რომ „ოლიმპიდან“ მის მიერ მიყვანილ ფეხბურთელებთან ერთად წამოვიდა.

გუნდი დატოვა ნოდარ აკობიამაც, რომლისთვისაც სიახლე ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა — იპოდრომზე დილის ვარჯიშის ჩატარების შემდეგ მან ფეხბურთელები სახლში გაუშვა და უმუშევარი დარჩა.

სავარაუდოდ, ჰაერში გამოკიდებულ მოთამაშეთა ნაწილი „ბათუმშივე“ დარჩება, თუმცა მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება და გაკვირვებითაც აღარაფერი იქნება გასაკვირი.

გიორგი ნოზაძე

ბურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ევროთასების წილისყრა

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

I საკვალიფიკაციო ეტაპი

სიონი (საქართველო)— ბაკი (აზერბაიჯანი)
ელბასანი (ალბანეთი)— ეკრანასი (ლიტვა)
ტვმკ (ესტონეთი)— ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
მეტალურგსი (ლატვია)— აკტობე (ყაზახეთი)
მიუპა (ფინეთი)— ლანსანტფრეიდი (უელსი)
კორკ სიტი (ირლანდია)— აპოლონი (კვიპროსი)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)— რაბოტნიჩკი (მაკედონია)
შახტიორი (ბელარუსი)— შიროკი ბრიაგი (ბოსნია)
ბირკირკარა (მალტა)— ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)— ნოვა გორიცა (სლოვენია)
პიუნიკი (სომხეთი)— შერიფი (მოლდოვა)

I მატჩები გაიმართება 11-12 ივლისს, საპასუხოები — 18-19 ივლისს

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ლევსკი (ბულგარეთი)— სიონი ან ბაკი
ლინფილდი ან ნოვა გორიცა— სტიაუა (რუმინეთი)
ციურიხი (შვეიცარია)— ზალცბურგი (ავსტრია)
იურგორდენი (შვედეთი)— რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)
დებრეცენი (უნგრეთი)— დუდელანჟი ან რაბოტნიჩკი
კორკ სიტი ან აპოლონი— ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)— ბირკირკარა ან ბ-36 ტორსჰავნი
ბოლესლავი (ჩეხეთი)— ვოლერენგა (ნორვეგია)
პიუნიკი ან შერიფი— სპარტაკი (რუსეთი)
მეტალურგსი ან აკტობე— დინამო (უკრაინა)
ტვმკ ან ჰაფნარფიორდური— ლეგია (პოლონეთი)
კოპენჰაგენი (დანია)— მიუპა ან ლანსანტფრეიდი
ელბასანი ან ეკრანასი— დინამო (ხორვატია)
ჰართსი (შოტლანდია)— შახტიორი ან შიროკი ბრიაგი

I მატჩები გაიმართება 25-26 ივლისს, საპასუხოები — 1-2 აგვისტოს

უეფას თასი 2006-2007

I საკვალიფიკაციო ეტაპი

ამერი (საქართველო)— ბანანცი (სომხეთი)
არტმედია (სლოვაკეთი)— ვიტ ჯორჯია (საქართველო)
ტირანა (ალბანეთი) — ვარტექსი (ხორვატია)
დინამო (ალბანეთი)— ცსკა (ბულგარეთი)
კოპერი (სლოვენია)— ლიტექსი (ბულგარეთი)
სარაევო (ბოსნია)— რეინჯერსი (ანდორა)
დომჟალე (სლოვენია)— ორაშიე (ბოსნია)
ჰიბერნიანი (მალტა)— დინამო (რუმინეთი)
აპოელი (კვიპროსი)— მურატა (სან მარინო)
რიეკა (ხორვატია)— ომონია (კვიპროსი)
ლოკომოტივი (ბულგარეთი)— სკოპიე (მაკედონია)
ვარდარი (მაკედონია)— რუზელარე (ბელგია)
რაპიდი (რუმინეთი)— სლიმა (მალტა)
უიპეშტი (უნგრეთი)— ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ზიმბრუ (მოლდოვა)— ყარაბახი (აზერბაიჯანი)
მიკა (სომხეთი)— იანგ ბოისი (შვეიცარია)
ფეჰერვარი (უნგრეთი)— კაირატი (ყაზახეთი)
ზაგლებე (პოლონეთი)— დინამო (ბელარუსი)
ტრნავა (სლოვაკეთი)— ქარვანი (აზერბაიჯანი)
ბატე (ბელარუსი)— ნისტრუ (მოლდოვა)
ბაზელი (შვეიცარია)— ტობოლი (ყაზახეთი)
ჰიკ (ფინეთი)— დროჰედა (ირლანდია)
ბრონდბიუ (დანია)— ვალიური (ისლანდია)
გეფლე (შვედეთი)— ლანელი (უელსი)
ჟენესი (ლუქსემბურგი)— სკონტო (ლატვია)
ეტცელა (ლუქსემბურგი)— ატვიდაბერგი (შვედეთი)
ვენტსპილსი (ლატვია)— გი გოტუ (ფარერები)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)— ბრანი (ნორვეგია)
რანდერსი (დანია)— აკრანესი (ისლანდია)
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)— კაუნასი (ლიტვა)
რილი (უელსი)— სუდუვა (ლიტვა)
ლევადია (ესტონეთი)— ჰაკა (ფინეთი)
სკალა (ფარერები)— სტარტი (ნორვეგია)
ლინი (ნორვეგია)— ფლორა (ესტონეთი)
გიოტებორგი (შვედეთი)— დერი სიტი (ირლანდია)

პირველი მატჩები გაიმართება 13 ივლისს, საპასუხოები — 27 ივლისს

ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტოქე

მეკარეები

ხალიდუ სისოკო	1978	186-75
რაუფ მეხდიევი	1976	182-81
ორხან მირზაევი	1980	187-86

მცველები

ილიას გურბანოვი	1979	176-73
ასიფ აბასოვი	1978	177-71
რამინ გულიევი	1981	184-75
რაილ მელიკოვი	1985	185-78
სამირ აბდურაჰმანოვი	1983	182-74
რაფაელ ამირბაიოვი	1976	182-82

ნახევარმცველები

ელნურ აბდულაევი	1986	176-70
ანდრე ლადაგა	1975	177-72
ალექსანდრე გოგობერიშვილი	1977	183-82
იაშარ აბუზაროვი	1977	176-75
მარიუს სულეაპი	1979	180-68
ჯეიხუნ სულტანოვი	1979	175-67
ემინ იმამალიევი	1980	167-63

თავდამსხმელები

ლეანდრო გომეში	1976	177-73
ფერნანდო პერესი	1980	177-70
ანდრეის შტოლცერსი	1974	178-70
ვადიმ ვასილიევი	1972	177-73
ფარიდ გულიევი	1986	183-74

ბოლნისში შესუსტებული ბაკი ჩავა

ბაკი

ბაქო, აზერბაიჯანი

დაარსდა 1997 წელს
ჯუების პრეზიდენტი: ჰაფიზ მამადოვი
მთავარი მწვრთნელი: ბოიაგა გაჯიევი
სტადიონი: „ტოფიკ ბახრამოვი" (ტევადობა 29 800)
აზერბაიჯანის ჩემპიონი (1): 2006
აზერბაიჯანის თასის მფლობელი (1): 2005
უეფას თასზე: 4 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 3 წაგება, ბურთები 3:10

ქართული გუნდი აზერბაიჯანულს ევროტურნირზე აქამდე არასდროს შეხვედრია. დრომ ისე მოიტანა, რომ მოწინავე აზერბაიჯანული კლუბები ახლა ჩვენს კლუბებზე მდიდრები არიან. თუმც ასეთი ბალანსი აზერბაიჯანის ხელისუფლების გადაწყვეტილებამაც განპირობა — იქ ფეხბურთში ფულის ჩამდებ ბიზნესმენებს საგადასახადო შეღავათები აქვთ.

აზერბაიჯანულ წყაროებში ამოვიკითხეთ, რომ იქ პირველი საფეხბურთო გუნდები 1905 წელს შეუქმნიათ ბრიტანელ ნავთობმომპოვებლებს. პირველი საერთაშორისო მატჩი კი აზერბაიჯანულმა გუნდმა თბილისში ითამაშა 1912 წელს და „შევარდენს" 4:2 მოუგო.

საბჭოთა ერაში საუკეთესო აზერბაიჯანული გუნდი ბაქოს „ნეფთჩი" იყო, რომელსაც ტიტული არ მოუგია, საუკეთესო შედეგი კი 1966 წელს ჰქონდა — საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში მესამე ადგილზე გავიდა. საბჭოთა დროებაში აზერბაიჯნელთა ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი „ნეფთჩის" თავდამსხმელი ანატოლი ბანიშევსკი გახლდათ. მან საბჭოთა კავშირის ნაკრებში 49 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა, 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში კი 81 გოლი შეაგდო.

მსოფლიოს საფეხბურთო მილეთში კი ყველაზე სახელგანთქმული აზერბაიჯანული გვარსახელი ტოფიკ ბახრამოვია, გვერდითი მსაჯი, ვინც 1966 წლის მუნდიალის ფინალის (ინგლისი 4:2 გფრ) დამატებით დროში ინგლისელი ჯეფ ჰერსტის სადავო გოლი ჩათვალა, როცა ანგარიში 2:2 იყო — ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე მინდორზე დაეშვა და, როგორც რამდენიმე გამოკვლევამ აჩვენა, ბურთს არ გადაუკვეთია კარის ხაზი, ანუ გოლი არ ყოფილა. ისიცაა, რომ ბახრამოვი ვერც ერთ იმ ენაზე ვერ მეტყველებდა, რომლითაც მატჩის შვეიცარიელი არბიტრი გოტფრიდ დენსტი ლაპარაკობდა...

ბახრამოვი 1993 წელს გარდაიცვალა და მის საპატივცემულოდ ბაქოს მთავარ სტადიონს „ტოფიკ ბახრამოვი" დაარქვეს. ამ სტადიონზე ატარებს საშინაო მატჩებს „ბაკი".

1997-2003 წლებში აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი არეულობა იყო. იქაური ხელისუფლება აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას დაუპირისპირდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უეფამ აზერბაიჯანულ კლუბებს ევროტურნირებზე თამაში აუკრძალა. ერთი პერიოდი აზერბაიჯანში ჩემპიონატიც არ იმართებოდა. დაპირისპირებაში ქვეყნის მთავრობამ გაიმარჯვა და 2003 წლიდან ყველაფერი დალაგდა. სწორედ 2003 წლიდან დაუწესდათ საგადასახადო შეღავათები აზერბაიჯანულ სპორტში და მათ შორის ფეხბურთში ფულის მიმტან მეწარმეებს.

აზერბაიჯანში ყველაზე მდიდარი კლუბი „ლენქორანია", თუმც ეს გუნდი აწ დასრულებულ აზერბაიჯანის ჩემპიონატში სამეულშიც ვერ მოხვდა. ისევე, როგორც ჩვენთან, აზერბაიჯანშიც საფეხბურთო მატჩებს პერიფერიებში უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე დედაქალაქში. აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველი ლეგიონერების თქმით, იქ ჩვენზე ბევრად მეტი გულშემატკივარი დადის თამაშებზე როგორც რაიონებში, ისე დედაქალაქში. აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბოლო დროს იმდენმა ლეგიონერმა მოიყარა თავი, რომ 2007-2008 წლების სეზონისთვის ლიმიტიც კი შემოიღეს: 3+1, ანუ გუნდს ოთხი ლეგიონერის ყოლის და მათგან ერდროულად სამის მოედანზე გაყვანის უფლება აქვთ.

ალექსანდრე გოგობერიშვილი „ბაკში" 2004-05 წლების სეზონის მეორე ეტაპზე მივიდა და აზერბაიჯანის თასი მოიგო, ხოლო წლეულს ჩემპიონი გახდა. აწ დასრულებულ სეზონში „ბაკში" ალექსანდრე რეხვიაშვილიც გამოდიოდა, თუმც ძირითადში ხშირად ვერ ხვდებოდა და სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავიდა, გოგობერიშვილმა კი კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი — ის „ბაკში" საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს და გუნდში საკვანძო ფიგურაა...

— რამდენად კმაყოფილი ხარ წილისყრის შედეგით?

— კარგია, რომ ჩემებთან მომიწევს თამაში, დანარჩენი კი თამაშის მერე გამოჩნდება. არ ვიცი, ახლა რა გუნდია ბოლნისის „სიონი".

— რამდენიმე დღის წინ გვითხარი, აქილევსის მყესი მაწუხებს და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ვერ ვითამაშებო...

— ახლა კი იმედი მაქვს, რომ ვითამაშებ, რადგან მკურნალობა კარგად მიდის. თვის ბოლოს აქილევსის მყესზე სურათს გადავიღებ და მერე, ალბათ, ზუსტად მეცოდინება, ვითამაშებ თუ არა „სიონთან" პირველ შეხვედრაში.

— რამდენჯერმე გითქვამს, ამ ეტაპზე აზერბაიჯანის ჩემპიონატი სჯობს ქართულსო. ეს იმას ნიშნავს, რომ „სიონი" — „ბაკის" დაპირისპირებაში ფავორიტი „ბაკია"?

— ასე არ ვიტყოდი, რადგან ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შანსები თანაბარია.

— „ბაკის" მწვრთნელზე რას იტყოდი?

— ბოიაგა გაჯიევი „ბაკიში" მაშინ მოვიდა, როცა ჩემპიონატის დასრულებას რვა ტური უკლდა. მისი ხელმძღვანელობით რვავე თამაში მოვიგეთ და ჩემპიონები გავხდით, თან გოლი არ გაგვიშვია. ვფიქრობ, ამით მან დაამტკიცა, რომ მართლაც კარგი მწვრთნელია.

— „ბაკის" წამყვან ფეხბურთელებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა...

— ბრაზილიელი ნახევარმცველი ლადაგა ძალიან ძლიერია, მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და ცენტრშიც. კარს სისოკო იცავს, ვინც 2002 წლის მუნდიალზე სენეგალის ნაკრების მესამე მეკარე იყო, მაგრამ ის და „ბაკის" ბრაზილიელი ფორვარდი ლეანდრო „სიონთან" პირველ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ.

— ახალი სეზონისთვის „ბაკი" ფეხბურთელებს არ იმატებს?

— „ბაკი" ახლა ბაქოში ემზადება და უკვე სინჯავს ოთხ აფრიკელს, რომელთაც საფრანგეთის მეორე დივიზიონში უთამაშიათ.

— ვისი კლუბია „ბაკი"?

— „ბაკი" კერძო სტრუქტურაა, აზერბაიჯანელ ბიზნესმენთა ფინანსური ჯგუფის კლუბია.

დავით თავართქილაძე



გაძლიერების გარეშე სიონი ევროსერიოზული ვერ იქნება

გუშინდელ წილისყრაზე კომენტარი ვთხოვეთ ბოლნისის „სიონის" მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძესაც, ვინც ახლა გუნდთან ერთად ყირიმშია შეკრებაზე...

— სელექციაზე ვმუშაობთ და თუ ეს პროცესი ისე დავასრულეთ, როგორც გვსურს, მხოლოდ მაშინ მოხერხდება „სიონის" მნიშვნელოვნად გაძლიერება. თუ ეს ვერ შევძელით, ევროსარბიელზე რაიმე წარმატებაზე ფიქრი არასერიოზული იქნება. სეზონის დასრულების შემდეგ „სიონი" სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — მიხეილ ხუციშვილმა, ლევან ხმალაძემ და დავით ჭიჭვეიშვილმა...

— „სიონს" ვიტჯორჯიელი დავით დიღმელაშვილის გადაბირება სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. როგორც შევიტყვეთ, გიორგი სეთურიძის დამატებაც გსურდათ, რომელიც წინა სეზონის მეორე ეტაპზე „ბათუმში" თამაშობდა...

— სეთურიძესთან დაკავშირებით „სიონი" მუშაობას განაგრძობს. ხვალ ჩვენთან ჩამოვა კამერუნელი მცველი, რომელიც ახლა თბილისშია. ველოდებით კიდევ ერთ კამერუნელს. ფეხბურთელების დამატება ქართული გუნდებიდანაც გვინდა.

— გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი უნდა გეთამაშათ...

— აქაურ „ფენიქსთან" 1:4 დავმარცხდით. დიდი დატვირთვების და გადაღლის ფონზე მოგვიწია თამაშმა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი უკრაინის ქვედალიგელთან ასე არ უნდა აგებდეს. მომდევნო მატჩი სიმფეროპოლის „ტავრიასთან" გვაქვს. ისე, ყირიმში მოსამზადებლად კარგი პირობებია.

— „ბაკიზე" რას იტყოდით?

— „სიონის" მწვრთნელი ბადრი კვარაცხელია რამდენიმე წელი თამაშობდა აზერბაიჯანში, ის ხვალ ჩამოვა ჩვენთან და საყურადღებო ინფორმაციას მოგვაწვდის „ბაკიზე".

დავით თავართქილაძე

უეფას თასი 2006–2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტოქე

ბანანცი

ერევანი, სომხეთი

დაარსდა 1992 წელს
კლუბის პრეზიდენტი: სარგის ისრაელიანი
მთავარი მწვრთნელი: ნიკოლაი კისელიოვი
სტადიონი: „რესპუბლიკური" (ტევადობა 70 000)
სომხეთის თასის მფლობელი (1): 1992
უეფას თასზე: 8 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, 6 წაგება, ბურთები 8:18

მეკარეები

ნენად რადაჩა	12.12.76
რუსლან გალიგუზოვი	20.10.77

მცველები

კარენ სიმონიანი	07.06.70
არარატ არაქელიანი	01.02.84
ოვანეს გრიგორიანი	09.03.85
ანდრეი ბურდიანი	18.01.86
ანდრეი ჩერევკო	30.07.85
მარიუს კალინი	24.11.84

ნახევარმცველები

რომეო ჯენებიანი	10.09.79
სამველ მელქონიანი	15.03.84
სურენ სარქისიანი	15.03.84
არტაკ ოსეიანი	16.05.87
აგვან აირაპეტიანი	19.01.87
სერგეი სიდიხინი	02.03.80
სერგეი არტიომოვი	18.11.80
ალექსანდრ დინდიკოვი	03.01.82
სარგის კარაპეტიანი	24.04.90

თავდამსხმელები

არამ აკობიანი	15.08.79
ვაგე დავთიანი	17.10.83
არსენ ბალაბექიანი	24.11.86
ივან ზაბლოდეკი	28.06.86

უეფამ ამერი ბანანცზე დაპატიჟა

გახსოვდეთ ლოკომოტივი

ბანანცი — ყარაბაღის ომის გმირი სოფელი. ამავე სახელწოდების სომხური გუნდი ქართველებისთვის უკვე კარგად ნაცნობი და ცუდად დაცდილია. სარგის ისრაელიანი კი სომეხი ბიზნესმენია, მილიონერი, რომელიც სწორედ ბანანცში დაბადებულა, ხოლო მოგვიანებით, როცა ფეხბურთის კლუბი გააკეთა, სახელწოდებაზე დიდხანს არც უფიქრია — „ბანანცი" აქედან მოდის.

მაშ ასე, საქართველოს თასის მფლობელ თბილისის „ამერის" პირველი ოფიციალური მეტოქე საერთაშორისო სარბიელზე — სომხეთის ჩემპიონატის ბრინჯაოსანი ერევნის „ბანანცი".

ეს სომხური კლუბი თბილისს შარშან სტუმრობდა. ალბათ გახსოვთ, „ბანანცი" თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქე იყო უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. პირველი მატჩი ერევნის „რესპუბლიკურზე" შედგა და ჩვენების 3:2 გამარჯვებით დასრულდა. ეგ იყო და, სომხური კლუბი და უპირველესად მისი სახელწოდება ბევრს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ჩამოვიდა „ბანანცი" საპასუხო მატჩისთვის და ცოდვის ტრიალი მაშინ უნდა გენახათ. გნებავთ სენსაცია დაარქვით, გნებავთ კანონზომიერება, „ბანანცმა" „მიხეილ მესხზე" „ლოკომოტივს" ორი უპასუხო გოლი გაუტანა და შინ თავაწეული დაბრუნდა. თუმცა ევროსარბიელს სომხები მალე, მომდევნო ეტაპზევე დაემშვიდობნენ — „ბანანცი" დნიპროპეტროვსკის „დნიპრომ" შეიწირა. აი, ასეთი უსიამოვნო მოგონება აკავშირებს ქართულ ფეხბურთს ერევნის „ბანანცთან".

რა იქნება წლეულს?

წლეულს „ბანანცი" სომხეთის ჩემპიონატში, სადაც უკვე 11 ტურია ჩატარებული, 19 ქულით მესამეა. გუნდი თასისთვის ბრძოლას უკვე ჩამოშორდა, ნახევარფინალში „პიუნიკთან" დამარცხდა, თუმცა მეტოქეს მაგრად გაუძალიანდა. „ბანანცმა" სტუმრად 0:1 დათმო, შინ კი 2:1 მოიგო და „პიუნიკმა" ოდენ მეტოქის მოედანზე გატანილი გოლით იმარჯვა. სხვათა შორის, თასის ამ გათამაშებაში მონაწილეობდა „ბანანცის" მეორე გუნდიც, რომელიც მეოთხედფინალში პენალტების სერიაში თბილისის „დინამოს" დღევანდელ მეტოქე „კილიკიასთან" დამარცხდა.

„ბანანცის" მწვრთნელი წარსულში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი ნიკოლაი კისელიოვია, ვისაც 1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია. თავის დროზე კი საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების მწვრთნელი გახლდათ. „ბანანცთან" მას 1+1 კონტრაქტი აკავშირებს, იქამდე კი ლიპეცკის „მეტალურგს" თავკაცობდა, საიდანაც ერევანში რამდენიმე ფეხბურთელიც ჩაიყვანა, ყველა იჯარით.

„შარშანდელი და ამ „ბანანცის" შედარება არ შეიძლება. გუნდში გვყავს ორი ახალი მეკარე, მთლიანად განახლებული დაცვის ხაზი, ასევეა ნახევარდაცვაც. ერთადერთი, თავდასხმა დავტოვე ხელუხლებელი, რომლის და მთლიანად გუნდის ლიდერიც არამ აკოფიანია" — გვითხრა გუშინდელი წილისყრის შემდეგ „ბანანცის" მწვრთნელმა.

შარშანდელი „ბანანცი" კი, მეტი რომ არ ვთქვათ, რაღაცნაირი უჟმური გუნდი იყო, არც თამაშობდა და არც მეტოქეს ათამაშებდა. ფეხბურთელები ძალიან ფრთხილობდნენ, ყველანაირ რისკს ერიდებოდნენ და მეტწილად მეტოქის შეტევების ჩაშლით იყვნენ დაკავებულნი. ყოველ შემთხვევაში, „ლოკომოტივის" ფონზე ასე ჩანდა.

„უკანმოუხედავი იერიშების მიმდევარი არ ვარ, თუმცა გოლის გასატანად შეტევა აუცილებელია და შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ „ბანანცი" შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს" — გააგრძელა ჩვენთან საუბარი ნიკოლაი კისელიოვმა, ვინც ამ ლაპარაკ-ლაპარაკში თავისი დროის ქართველი ფეხბურთელებიც რამდენჯერმე მოიკითხა.

სხვათა შორის, კისელიოვმა არამ აკოფიანი რომ ახსენა, ეს ფეხბურთელი სომხეთის წინა ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა და, რა თქმა უნდა, საუკეთესო თავდამსხმელადაც ის დაასახელეს. კარიერაში მას 174 მატჩი აქვს ჩატარებული და 80 გოლი გატანილი; არის სომხეთის ნაკრები წევრი, „ბანანცამდე" კი უკრაინულ „სტალში" თამაშობდა. კისელიოვის თქმისა არ იყოს, აი, ვის უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება „ამერმა". თუმცა „ბანანცში" არის კიდევ ერთი საშიში ფეხბურთელი — სურენ სარქისიანი, ნახევარმცველი, ვისაც მიჰყავს გუნდის თამაში: „სურენ სარქისიანიც კარგი ფეხბურთელია, სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მისი დიდი იმედი მაქვს, ჭკვიანი ფეხბურთელია". — ასე დაახასიათა ნიკოლაი კისელიოვმა თავისი შეგირდი.

„ბანანცის" მწვრთნელს გუნდის ლეგიონერებზეც ვკითხეთ. როგორც უკვე ვთქვით, იგი ადრე ლიპეცკის „მეტალურგში" მუშაობდა და იქიდან ფეხბურთელები წაიყვანა: „გუნდში ამჟამად რვა ლეგიონერია, თუმცა ძირითადში სულ ორი-სამი თამაშობს. კარგია, რომ კონკურენციაა და არჩევანის საშუალება მაქვს. ვინც კონკრეტული მატჩისთვის უკეთ არის მზად, ის თამაშობს. ლეგიონერები კი ლიპეცკიდან და დონეცკის „მეტალურგიდან" იჯარით გვყავს აყვანილი".

„ბანანცმა" ქართველებს თავი მწარედ დაამახსოვრა

ბაჩო ძმილელაძის ფოტო

მეტოქეზე რა იცით, შანსებს როგორ შეაფასებდით? — გავაგრძელეთ საუბარი...

„ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები თანაბარია, თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ სომხური და ქართული გუნდების თამაში, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან დაძაბული და რთული იქნება. „ამერზე" კი არაფერი ვიცი. ახალი გუნდია და ვერაფერს გეტყვით. აი, თბილისის „დინამოზე" და ქუთაისის „ტორპედოზე" კი, იცოცხლეთ, სალაპარაკო ძალიან ბევრი მექნებოდა" — გვიპასუხა „ბანანცის" მწვრთნელმა.

„ამერი" და „ბანანცი" ურთიერთობის გარკვევას 13 ივლისს თბილისში, „მიხეილ მესხზე" დაიწყებენ, საქმეს კი 27-ში ერევნის „რესპუბლიკურზე" მოამთავრებენ. სხვათა შორის, „ამერს" პირველი მატჩის სტუმრად გამართვა სურდა, თუმცა ეს არ გამოუვიდა და როგორც წილისყრამ დააწყვილა გუნდები, სტუმარ-მასპინძელიც არ შეცვლილა...

„რა თქმა უნდა, ოდნავი შეღავათია, როცა პირველ მატჩს სტუმრად თამაშობ, შინ უფრო მობილიზებული იქნები და საკუთარი კედლები დაგეხმარება, თუმცა დღევანდელ ფეხბურთში სტუმარ-მასპინძლის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. რომელი გუნდიც უკეთ იქნება მომზადებული, ის მოიგებს. ჩვენთვის, მაგალითად, არც ის არის უპირატესობა, რომ ახლა სომხეთის ჩემპიონატი მიმდინარეობს და გუნდს სათამაშო პრაქტიკა არ აკლია. ტრადიციულად, როცა სამხრეთის გუნდები თამაშობენ, ამგვარი ფაქტორები საბოლოო შედეგზე გავლენას არ ახდენს. აგერ, ახლა არ იყო, თბილისის „დინამო" „კილიკიას" რომ მოუგო?! „ბანანცისა" და „ამერის" პირველ შეხვედრამდე კი სამი კვირა წინაა და ჩვენ თუ ჩემპიონატში ვითამაშებთ, „ამერს" იქამდე ამხანაგური მატჩები ექნება" — გვითხრა კისელიოვმა.

...ამასობაში კი „ამერი" ჩეხეთშია და პირველ ამხანაგურ მატჩსაც დღეს სლოვაკეთის ჩემპიონ „რუჟომბეროკთან" გამართავს, ხვალ კი მეორე შემადგენლობით რუსული „საატურნის" დუბლებს გაეჯიბრება.

კოტა ინასარიძე

არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო

„ამერის" მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ჩეხეთში დავუკავშირდით და მომავალ მატჩზე ორიოდ სიტყვა ვთხოვეთ...

„კენჭისყრის შედეგით არც უკმაყოფილო ვარ და არც მთლად კმაყოფილი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, სხვა, მეტ-ნაკლებად სუსტიც და ძლიერი გუნდიც შეგვხვედროდა. შეგვხვდა სომხური „ბანანცი" და ახლა მთელი ყურადღება ამ გუნდზე უნდა გადავიტანოთ. მთავარია, კონკრეტული მატჩებისთვის ვინ როგორ მოემზადება. შეიძლება, ამ ეტაპზე მეტოქეს უპირატესობა აქვს, რადგანაც სომხეთში გაგანია ჩემპიონატია, ჩვენ კი მოსამზადებელი ეტაპი ახლახან დავიწყეთ, თუმცა, იმედი მაქვს, ამ პერიოდს ნაყოფიერად გამოვიყენებთ და „ბანანცს" კარგად მომზადებულები შევხვდებით.

...„ბანანცის" თამაში შარშან ვნახე, როცა ეს გუნდი „ლოკომოტივს" შეხვდა, თუმცა იმ ერთი თამაშით მეტოქეზე წარმოდგენის შექმნა არ შეიძლება, თანაც არ ვიცი, მას შემდეგ რა ცვლილებები მოხდა ამ გუნდში. ახლა ვეცდებით, მეტოქეზე ამომწურავი ინფორმაცია შევაგროვოთ."

კოტა ინასარიძე

უეფას თასი 2006–2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტოქე



„არტმედიას“ თავკაცი ვლადიმირ ვაისი „სელტიკთან“ ფანტასტიკური გამარჯვების შემდეგ

ხუთჯერ მონათლული

პტე–დან არტმედიამდე 106 წელია

არტმედია

ბრატისლავა, სლოვაკეთი

დაარსდა 1898 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ვლადიმირ ბაჟანი
მთავარი მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი
სტადიონი: „სპორტოვი“ (ტევადობა 7 100)
სლოვაკეთის ჩემპიონი (1): 2005
სლოვაკეთის თასის მფლობელი (1): 2004
ჩემპიონთა ლიგაში: 12 მატჩი, 3 მოგება, 5 ფრე, 4 წაგება, ბურთები 14:16
უეფას თასზე: 8 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 5:10

ბრატისლავის „არტმედიამ“ საფეხბურთო სამყარო მხოლოდ შარშან აალაპარაკა, არადა, ევროპაში ერთ-ერთი უძველესი კლუბია.

საფეხბურთო კლუბი პტე 1898 წლის 7 ივნისს დაარსდა და ამ სახელით მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე იარსება. 1945-დან 1974 წლამდე ბრატისლავის „სპარტაკის“ სახელით თამაშობდა, მერე „პეტრჟალკად“ მოინათლა, 1993-ში „არტმედია-პეტრჟალკად“ იქცა, ორი წლის წინ კი დღევანდელი სახელი — „არტმედია“ დაირქვა.

რომ ვთქვით, „არტმედიამ“ საფეხბურთო სამყარო აალაპარაკაო, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ვიგულისხმეთ. არადა, შარშან ივლისში სლოვაკებმა ბეწვის ხიდივით გაიარეს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე — ყაზახურ „კაირატთან“ სტუმრად წაგებული 0:2 შინ 4:1-ით შემოატრიალეს, მერე კი, მეორე რაუნდში კიდევ ერთხელ დააწყვიტეს ქომაგს ნერვები: გლაზგოს „სელტიკთან“ სტუმრად 0:4 დამარცხებული კლუბის საბოლოო წარმატებისა ალბათ თავად ფეხბურთელებსაც ნაკლებად ეჯერათ, მაგრამ სასწაული ხანდახან ფეხბურთშიც ხდება. სლოვაკებმა „სელტიკს“ ბრატისლავაში ხუთი (!) უპასუხო გოლი გაუტანეს.

მერე იყო მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი, ბელგრადის „პარტიზანთან“ ორი უგოლო ფრე და პენალტების სერიაში მოპოვებული ჯგუფური ეტაპის საგზური. არადა, „არტმედია“ სულ მეხუთედ მონაწილეობდა ევროტურნირებში.

ლიგის დებიუტანტმა არც ჯგუფში შეირცხვინა თავი და ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა მერვედფინალში გასვლის შანსს. ბოლო ტურში „არტმედია“ უმოტივაციო „პორტუს“ მასპინძლობდა. მატჩი უგოლოდ დასრულდა და სლოვაკებიც ლიგას გამოემშვიდობნენ

სლოვაკეთის წინა ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქემ 36 მატჩში 80 ქულა დააგროვა და ექვსით ჩამორჩა ჩემპიონ „რუჟომბეროკს“. საჩემპიონო შეხვედრა ბოლოდან მესამე ტურში გაიმართა, როცა „არტმედია“ უშუალო კონკურენტთან 0:3 დამარცხდა და ჩემპიონის ტიტულიც გადაულოცა.

ვეტერინართა მეტოქის უმთავრეს კოზირად ბრძოლისუნარიანობას მიიჩნევენ. „არტმედია“ არასოდეს ნებდება და ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად იბრძვის. საშინაო შეხვედრებში „არტმედია“ განსაკუთრებით აგრესიულია და ერთგული ქომაგებით გულმიცემული თითქმის არასოდეს აგებს. „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრობა მეტოქის პატარა, მყუდრო სტადიონზე მოუწევს, რომელიც 7000 ქომაგს იტევს.

რაც შეეხება შემადგენლობას, შარშანდელს აქეთ, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, გუნდის ლიდერები კი მცველი მარიან ჩიშოვსკი, ნახევარმცველი დუშან სნინსკი და ფორვარდი ლუბომირ რეიტერი არიან.

გიორგი ნოზაძე

მეკარეები

იურაი ჩობეი	1971
ლუბოშ კამენიარი	1987
შტეფან კოლიარი	1975
მარეკ გიალა	1984

მცველები

ანდრეი დებნიარი	1972
პაველ სტანიო	1977
დანიელ ტჩური	1976
მარიან ჩიშოვსკი	1979
რომან კონენნი	1983
პეტერ ბურიაკი	1978

ნახევარმცველები

ანდრეი ჰანტიაკი	—
დუშან სნინსკი	1977
ბრანისლავ ობჟერა	1981
ვრატისლავ გაიდოში	1986
ბრანისლავ ფოდრეკი	1981
ალეშ ურბიანეკი	1980
მიხალ კუბალა	1980
გაბორ სტრაკა	—

თავდამსხმელები

ტომაშ დოშეკი	1978
მარტინ მიკულიჩი	1985
იურალ პიროსკა	—
იურაი ჰალენიარი	1983
ლუკაშ ჰარტიგი	1970
ლუბომირ რეიტერი	1974

მეტოქე ძლიერია? მით უკეთესი!



უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშეთა შორის „არტმედიას“ ერთ-ერთი უმაღლესი საკლუბო რეიტინგი აქვს, თუმცა როცა კომენტარისთვის თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელ ზურაბ ბერიძეს დავუკავშირდით, უკმაყოფილება ნამდვილად ვერ შევატყვეთ...

— კენჭისყრით უკმაყოფილონი ნამდვილად არ ვართ. გვირჩევნია, ნორმალურ მეტოქეს შევხვდეთ, ბოლომდე ვებრძოლოთ და ჩვენი რეალური ძალა ყველას დავანახოთ. „არტმედია“ ძალიან სერიოზული მეტოქეა და წყვილშიც უდავო ფავორიტია, თუმცა წინასწარ დანებებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ინფორმაციის შეგროვება უკვე დავიწყეთ და რამდენიმე დღეში მეტოქის მატჩების ფირები ხელთ გვექნება.

— ევროტურნირებს შესუსტებული შემადგენლობით ხვდებით, დავით იმედაშვილი „ვიტ ჯორჯიასთვის“ დიდი ძალაა...

— ღმერთმა ქნას, კიევის „დინამომ“ დათო დაიტოვოს. მაინც მგონია, რომ თვის ბოლოს შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ კიეველები იმედაშვილს კიდევ ერთ შეკრებაზე წაიყვანენ და ბოლო სიტყვას მერე იტყვიან. ასე თუ ისე, იმედაშვილი „არტმედიასთან“ ვერ დაგვეხმარება.

— გუნდიდან დავით დიღმელაშვილის წასვლაზეც იყო ლაპარაკი...

— დიღმელაშვილი ამაღამ ჩვენთან ერთად მოემგზავრება უკრაინულ შეკრებაზე. სიმფეროპოლში 8 ივლისამდე დავრჩებით და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ. 27 ივნისს „ხარკოვთან“, 1 ივლისს „ზაკარპატიესთან“, 4-ში „კრიმტეპლიცასთან“ და 7-ში სიმფეროპოლის „დინამოსთან“ სპარინგების ამბავი გადაწყვეტილია.

— შემადგენლობაში სხვა რა ცვლილებებია?

— გათავისუფლების ფურცელი აიღო თენგიზ კობიაშვილმა, თუმცა ვერ გეტყვით, სად აპირებს თამაშის გაგრძელებას.

— ისევ „არტმედიას“ მივუბრუნდეთ: შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვიტ ჯორჯია“ სლოვაკებთან მატჩებს ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ხვდება?

— რა თქმა უნდა და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო — „ბაკისთან“, „ბანანცოთან“ ან სხვა ასეთ კლუბებთან შეხვედრას ძლიერ მეტოქესთან თამაში გვირჩევნია, ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ეს დიდი სკოლა იქნება.

გიორგი ნოზაძე

ვაჭების ბადე

ფედერერი (1) — გასკე
ჰენმანი — სოდერლინგი
მელცერი — მაჰუტი
ვლიგენი (30) — ნოვაკი
ჰაასი (19) — ვანეკი
ბერლოკი — ბლუმფილდი
არტურსი — სანტორო
ბერდიხი (13) — ჰერნიხი
რობრედო (11) — გროილი
გოლდსტინი — ჯოკოვიჩი
სტარაჩე — იუენი
მონფილზი (21) — კუნიცინი
შრიჩაპარნი (29) — კალერი
კარლოვიჩი — ვავრინკა
სანგინეტი — კიმი
ანჩიჩი (7) — ალმაგრო
ნალბანდიანი (4) — მუდი
პორტასი — კლემანი
ბეკერი — ჩელა
ვერდასკო (28) — სპადეა
ფერერო (24) — ვისენტე
შუტლერი — კარანუსიჩი
მალისი — დორში
შტეპანეკი (14) — დანსევიჩი
იოჰანსონი (12) — ბიორკმანი
დლუჰი — სერა
გალვანი — ვასკე
ჰრბატი (20) — ბრაჩიალი
მატიო (32) — ფილიპუსისი
მირნი — რამირეს-იდალგო
ვანგი — მარახი
ბლეიკი (8) — პლესი
ჰიუტი (6) — ვოლანდრი
სარეტა — ლი
ზიბი — მონტანიესი
ო. როხუსი (26) — მიულერი
ფერერი (23) — სტადლერი
მინარი — გარსია-ლოპესი
საფინი — რუზეცკი
გონსალესი (10) — ჰორნა
გროჯანი (15) — სიმონი
დელგადო — ბერერი
პაველი — გრანოლერს- პუიოლი
ბაღდატისი (18) — მაკინი
მასუ (31) — მიურეი
ბენეტო — ფო
ვიკი — მაიერი
როდიკი (3) — ტიპსარევიჩი
ლიუბიჩიჩი (5) — ლოპესი
გიმელსტობი — კ. როხუსი
დი მაურო — მარტინი
ტურსუნოვი (27) — უდომჩოკე
ნიემინენი (22) — დანიელი
ნორმანი — ლი
საბაუ — კოლშრაიბერი
დავიდენკო (9) — ფალა
გაუდიო (16) — ფორელი
ლაბაძე — პეია
გუდოლი — ვან გემერდენი
ჯინეპრი (17) — ფიში
ავასი (25) — პაშანსკი
სეპი — ბეიკერი
კენდრიკი — ლუ
ნადალი (2) — ბოგდანოვიჩი

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 ₤

როჯერი: იქნება რეკორდი და პოკერი?



ოთხი წელია, როჯერ ფედერერი ბალახზე დაუმარცხებელია

უიმბლდონი ზედიზედ ოთხჯერ აქამდე მხოლოდ ორ დიდ კაცს, ორ ლეგენდას — დიად შვედ ბიორნ ბორგსა და არანაკლებ დიად ამერიკელ პიტ .სამპრასს მოუგიათ. წლეულს კი ეს დუეტი როჯერ ფედერერმა შეიძლება ტრიოდ გადააქციოს.

ეს რომ გენიალურ შვეიცარელს ხელეწიფება, ეჭვი არავის ეპარება. ალპელს ამისთვის კარგად ნაცადი და თავის მიერვე გატკეპნილი გზის გავლა კიდევ ერთხელ მოუწევს.

„მხიარული როჯერი" დღესდღეობით უდავოდ საუკეთესო მოთამაშეა ბალახზე. ფედერერმა ეს იმითაც დაამტკიცა, რომ აგერ უკვე მეოთხე წელიწადია, რაც ამ საფარზე არაფრის დიდებით არ აგებს. მან ბორგის რეკორდი გაიმეორა და ევროპის საბალახო კორტებს 4 წელი და 41 მატჩია, ტრიუმფატორის რანგში ტოვებს.

ფედერერმა თავისთვის უკვე ტრადიციად ქცეული წინასაუიმბლდონო მოთელვაც წარმატებით გაიარა და ჰალეში ზედიზედ მეოთხედ იზეიმა გამარჯვება. შვეიცარიელს კრიტიკოსებმა ესლა მოუგონეს — წლეულს რაღაც მძიმედ გამოიყურებოდა და თითქმის ყველა შეხვედრაში სამი სეტის ჩატარება მოუწიაო.

მაგრამ ეს თითიდან გამოწოვილ მონაჩმახს უფრო ჰგავს, რაც თვითონ ამ ხალხსაც კარგად მოეხსენება. ფედერერი უიმბლდონის უპირობო ფავორიტი რომ არის, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. თუმც შვეიცარიელს ძალიან ცუდი ბადე შეხვდა და ჯერ თავისთვის ძალიან უხერხულ მეტოქე რიშარ გასკესთან მოუწევს შეხვედრა, შემდეგ კი, სავარაუდოდ, თავის მეცამეტე უიმბლდონზე მოთამაშე მასპინძელთა მთავარ იმედ ტიმ ჰენმანს გადაეყრება. ასე რომ, ფედერერს იოლი ცხოვრება ნამდვილად არ ელის.

მაგრამ ეს კიდევ საკითხავია, ვის უფრო არ გაუმართლა, ჰენმანს თუ ფედერერს. ტიმი ბატონი ამჯერად კარგ ფორმაშია და წლევანდელ უიმბლდონს დიდი იმედებითაც ხვდებოდა. ინგლისელი წლეულს სავარაუდოდ კარიერას ასრულებს და წასვლის წინ კარის გაჯახუნებასაც გეგმავდა, მაგრამ, აი უბედურება — უკვე მეორე წრეში ხვდება დიად ალპელს და თავისი იმედების, ალბათ, თვითონაც არ სჯერა.

რაფაელ ნადალი მეორე ნომრად კი განთესეს, მაგრამ არავინ და, ალბათ, თვითონ ესპანელიც არ ფიქრობს, რომ იგი ბალახზე სერიოზულ კონკურენტად შეიძლება ექცეს შვეიცარიელს. ნადალი „მხიარულ როჯერს" გრუნტზე უგებს, ჰარდზე დიდი წინააღმდეგობის გაწევაც შეუძლია, მაგრამ ბალახზე ნამდვილად არანაირი შანსი არა აქვს. კი, პირინელმა ქუინსში მეოთხედფინალამდე კარგად ითამაშა და მხრის ტრავმა რომ არა, ეგებ უფრო წინაც წასულიყო, მაგრამ ფედერერთან ბალახზე თანაბრად საბრძოლველაად მზად რომ არ არის, თვითონ ნადალისთვისაც კარგად არის ცნობილი.

ფედერერის უმთავრეს მეტოქეებად კი ენდი როდიკსა და ლეიტონ ჰიუიტს ასახელებენ. შვეიცარიელის დამდეგ პოკერს, ალბათ, ეს ორი თუ გადაეღობება წინ.

განსაკუთრებით უიმბლდონის 2002 წლის გამარჯვებული, ლეიტონ ჰიუიტი უნდა გამოიყოს. ბოლო წლებში ფედერერს ბალახზე თუ ვინმემ შეუქმნა პრობლემები, ეს სწორედ რომ ავსტრალიელი იყო. ოზი ბიჭი შვეიცარიელს წლეულსაც დიდი ომის გამართვას ჰპირდება და არცთუ უსაფუძვლოდ ბაქიბუქობს — ჰიუიტმა ერთი კვირის წინ ქუინსში კარიერაში მეოთხედ იმარჯვა და იმდენად სოლიდურად ითამაშა, რომ თვითონ ფედერერს თუ არა, მის სამწვრთნელო შტაბს საფიქრალი ნამდვილად გაუჩინა.

როდიკი კი საერთოდ, ბოლო ორი გათამაშების ფინალისტია და გადამწყვეტ მატჩამდე ორჯერვე სულ ფრენა-ფრენით მივიდა, მაგრამ აქ უკვე ვერაფერი დაუპირისპირა შვეიცარელის თითქმის იდეალურ თამაშს და მთლიანობაში მხოლოდ კინკილა სეტი თუ მოუგო. მაგრამ ენდი-ბოიმ თავისი ეის-მტყორცნი ბოლომდე თუ გამართა და აამუშავა, შვეიცარიელსაც დიდ პრობლემები უნდა შეუქმნას.

მაგრამ ეს ორი თუ იქამდე მივიდა, ერთმანეთს მეოთხედფინალში გადაეყრება და ნამდვილი ჯახიც ეგ იქნება. ფედერერს კი, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ორივესთან თამაში აღარ მოუწევს.

ძალიან სახიფათონი იქნებიან ხორვატები. ივან ლიუბიჩიჩი, მარიო ანჩიჩი და ივო კარლოვიჩი ხომ ტრადიციულ, უიმბლდონურ ჩოგბურთს თამაშობენ — „ჩაწოდე-ბადესთან სწრაფად გაიქეცი" — დღესდღეობით ამას მარტო ეს ხალხიღა ქადაგებს და ამიტომაა, რომ ლონდონში მათგან ბევრს მოელიან. ზემოთნახსენები ფავორიტების გამწარება კი ნებისმიერ მათგანს ძალუძს. მით უმეტეს რომ ასეთი გამოცდილება ბალკანელებს უკვე აქვთ — 2002 წელს ანჩიჩს ფედერერი, 2003 წელს კი კარლოვიჩს ჰიუიტი უკვე დაუფრენიათ უიმბლდონიდან.

ისე, ანჩიჩი ფედერერს, ალბათ, მეოთხედფინალში გადაეყრება და 4 წლის წინანდელის გამეორებაზე უარს ნამდვილად არ იტყვის.

და ერთიც — შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ თავის მეოთხე უიმბლდონზე ითამაშებს ირაკლი ლაბაძე და იმედია, მისი ეს ცდა წინა სამზე უკეთესი იქნება. პირველ წრეში ირაკლი კლასიფიკაციის 205-ე ნომერს, ავსტრიელ ალექსანდერ პეიას ხვდება

ბიორნ ბორგი

უიმბლდონის ჩემპიონები 1961 — 2005

1961	როდ ლეივერი
1962	როდ ლეივერი
1963	ჩაკ მაკინლი
1964	როი ემერსონი
1965	როი ემერსონი
1966	მანუელ სანტანა
1967	ჯონ ნიუკომბი
1968	როდ ლეივერი
1969	როდ ლეივერი
1970	ჯონ ნიუკომბი
1971	ჯონ ნიუკომბი
1972	სტენ სმიტი
1973	იან კოდეში — ალექსანდრე მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3
1974	ჯიმი კონორსი
1975	არტურ ეში
1976	ბიორნ ბორგი
1977	ბიორნ ბორგი
1978	ბიორნ ბორგი
1979	ბიორნ ბორგი
1980	ბიორნ ბორგი
1981	ჯონ მაკინროი
1982	ჯონ მაკინროი
1983	ჯონ მაკინროი
1984	ჯონ მაკინროი
1985	ბორის ბეკერი
1986	ბორის ბეკერი
1987	პატ კეში
1988	სტეფან ედბერგი
1989	ბორის ბეკერი
1990	სტეფან ედბერგი
1991	მიხაელ შტიხი
1992	ანდრე აგასი
1993	პიტ სამპრასი
1994	პიტ სამპრასი
1995	პიტ სამპრასი
1996	რიჩარდ კრაიჩეკი
1997	პიტ სამპრასი
1998	პიტ სამპრასი
1999	პიტ სამპრასი
2000	პიტ სამპრასი
2001	გორან ივანიშევიჩი
2002	ლეიტონ ჰიუიტი
2003	როჯერ ფედერერი
2004	როჯერ ფედერერი
2005	როჯერ ფედერერი

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2006. ᲑᲐᲚᲐᲮᲘ. ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ 10 378 710 £

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ: ᲛᲐᲨᲐᲡ ᲙᲘᲕᲘᲚᲘ

მიუხედავად ყველაფრისა, ვინუს უილიამსი მაინც ფავორიტია

ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ არც შარშან მოიხსენიებოდა ფავორიტთა შორის, ტრავმები მაშინაც აწუხებდა და მეთორმეტე ნომრადაც იყო განთესილი, მაგრამ ამერიკელს ხელი მაინც ვერაფერმა შეუშალა და თავისი მესამე უიმბლდონი ძალიან დამაჯერებლად მოიგო.

ვინუსი წლეულსაც ფაქტობრივად ივივე მდგომარეობაში აღმოჩნდა — შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ამერიკელი ტრავმებმა ფრიად გაამწარა და ამის გამო ლამის ნახევარი წელი გაუცდა. იგი არც დღეს წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და უიმბლდონამდე ერთ საბალახო ტურნირზეც ვერ მოახერხა თამაში, მაგრამ ლონდონში ერთი-ორი წრე თუ გაიარა და იქაურ ბალახს ალღო აუღო, მისი გაჩერება ძალიან ძნელი იქნება. მით უმეტეს, რომ წლეულს ტრავმების გამო უიმბლდონზე ვერ ჩავიდნენ ვინუსის უმცროსი და სერენა და კიდევ ერთი ამერიკელი მონსტრი — ლინდსი დევენპორტი. ასე რომ, უფროსი უილიამსი იანკთა ერთადერთი იმედია, რის გამოც მას მოტივაცია ერთიორად გაეზრდება.

კიდევ ერთი გამოკვეთილი ფავორიტი ამ ბოლო დროს შოუ-ბიზნესს გადაყოლილი, მაგრამ მაინც კარგად მოთამაშე მარია შარაპოვა იქნება. ორი წლის წინ 17 წლის ასაკში უიმბლდონის მომგები რუსი პრიმა თავის საყვარელ საფარსა და ტურნირზე ბრუნდება და ეცდება დაამტკიცოს, რომ პოდიუმის პარალელურად კორტზეც არა ნაკლები სიდიდის ვარსკვლავია.

ერთი ეგაა, რომ მაშას წინააღმდეგ მავანმა ინგლისელმა ჟურნალისტმა კამპანია წამოიწყო — თამაშის დროს ამდენი ყვირილ-კივილი რა ამბავია, მისი თამაშების მერე ღამე აღარ მძინავსო. ამას მხარი ზოგმა მოცლილმაც აუბა და უიმბლდონამდე ეს ლამის უმთავრეს თემადაც აქციეს.

მაგრამ რუს პრიმას შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან მას კივილს ვერავინ დაუშლის, მაგრამ წარმატების მისაღწევად საკუთარი თამაშის ცოტათი გადაფასება ნამდვილად მოუწევს. შარაპოვამ ბირმინგემში საკმაოდ კარგად კი ითამაშა, მაგრამ აქა-იქ ბრიყვულ შეცდომებს დაუშვა და ამიტომაც იყო, ფინალს გარეთ რომ დარჩა. მარიამ უფრო დაკვირვებულად და ცოტა ფრთხილად თამაში უნდა ისწავლოს, თორემ მუდმივი რისკით ბურთაობა ყოველთვის წარმატებას ვერ მოუტანს. ახლა ხომ ის ნებისმიერისთვის ფავორიტია და არა 17 წლის თინეიჯერი, რომელსაც ყველა ზემოდან უყურებდა. ამიტომ მის წინააღმდეგ ნებისმიერი ბოლომდე საბრძოლველად გავა — შარაპოვამ ამ ზეწოლას შარშან არცთუ წარმატებით გაართვა თავი და არც წლეულს იქნება იოლი.

რაღა თქა უნდა, არც ბელგიელთა დავიწყება ეგების, რომლებიც ყოველთვის და ყველგან უმთავრეს ფავორიტთა შორის არიან. შარშანდელი გაკვეთილი კარგად შეირგო ჟუსტინ ენენ-არდენმა. ჭინკა ბელგიელი გასულ წელს "როლან გაროსის" მოგების შემდეგ უიმბლდონს ისე ეწვია, ბალახზე თამაშის არანაირი პრაქტიკა არ ჰქონია და რაღა გასაკვირია, რომ პირველივე წრიდან დაემშვიდობა ლონდონს.

თუმც წლეულს ბელგიელი "როლან გაროსული" ტრიუმფის შემდეგ მხარეთმოზე აღარ წამოწოლილა, ამის მაგივრად ისტბურნს ეწვია, სადაც მშვენიერად იბურთავა და თავისთვის ასე საჭირო ადაპტაციაც გაიარა. ასე რომ, თუ ენენის მრავალმხრივ ტექნიკასა და მაღალ სათამაშო კლასს გავითვალისწინებთ, ბელგიელი უიმბლდონზეც ბევრისთვის იქცევა დიდ თავის ტკივილად. ენენს "დიდი სლემის" ტურნირებიდან მარტო უიმბლდონი არ მოუგია და არ არის გამორიცხული, ნავსი წლეულს გატეხოს.

ბალახზე თამაში მშვენივრად გამოსდის კიმ კლაისტერსს. ტრავმებისგან საბოლოოდ თავდახსნილი ფუმფულა ბელგიელის სათამაშო სტილი უიმბლდონს კარგად შეესაბამება და სამართლიანია, რომ განთესვისას მას მეორე ნომერი არგუნეს. კიმი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია და თუ გადაეყარა, თავის მთავარ გამაწარებელ ენენს, იქნებ აქ მაინც აჯობოს. თუმც კლაისტერს თავიდანვე დიდი ოფლის ღვრა მოელის, რადგანაც ბირმინგემში მოულოდნელად გამარჯეებულ ვერა ზვონარიოვას ხვდება.

პირველად არის, რომ რუსული საფრთხე სერიოზულად მოჩანს უიმბლდონის ტრადიციულად ღრუბლიან ცაზე. შარაპოვა შარაპოვად და სხვა რუსებს იმდენს უჩიჩხინებდნენ და დასცინოდნენ, ბალახზე თამაშის ინჩი-ბინჩი არ გესმითო, რომ სლავები ძალიან გაამწარეს. გამწარებული სლავი კი მტრისას — ზვონარიოვას ბირმინგემულ ტრიუმფზე მოგახსენეთ, მერე კი არც დანარჩენ რუსებს შეურცხვენიათ თავი ისტბურნსა და ჰერტოგენბოშში.

წარმატებისთვის პირობები აქვთ თურა — 32 განთესილ მოთამაშეს შორის 9 რუსია, სამი-ოთხი დანარჩენ ბადეში მოხვდა და ერთი-ორი კიდევ კვალიფიკაციდანაც გადმოვიდა. გამოდის, რომ ლამის მესამედი რუსები იქნებიან და ვინ გამორიცხავს, რომ რომელიმემ გაისროლოს და ლონდონში იზეიმოს?!

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲒᲘᲚᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲓᲔ



ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ 1961 — 2005

მარტინა ნავრატილოვა

1961	ანჯელა მორტიმერი
1962	კარენ ჰანც სუსმანი
1963	მარგარეტ სმიტი
1964	მარია ბუენი
1965	მარგარეტ სმიტი
1966	ბილი ჯინ კინგი
1967	ბილი ჯინ კინგი
1968	ბილი ჯინ კინგი
1969	ენ ჰეიდონ ჯონსი
1970	მარგარეტ სმიტ კორტი
1971	ივონ გულაგონგი
1972	ბილი ჯინ კინგი
1973	ბილი ჯინ კინგი
1974	კრის ევერტი
1975	ბილი ჯინ კინგი
1976	კრის ევერტი
1977	ვირჯინია უეიდი
1978	მარტინა ნავრატილოვა
1979	მარტინა ნავრატილოვა
1980	ივონ გელაგონგ კოული
1981	კრის ევერტ ლოიდი
1982	მარტინა ნავრატილოვა
1983	მარტინა ნავრატილოვა
1984	მარტინა ნავრატილოვა
1985	მარტინა ნავრატილოვა
1986	მარტინა ნავრატილოვა
1987	მარტინა ნავრატილოვა
1988	შტეფი გრაფი
1989	შტეფი გრაფი
1990	მარტინა ნავრატილოვა
1991	შტეფი გრაფი
1992	შტეფი გრაფი
1993	შტეფი გრაფი
1994	კონჩიტა მარტინესი
1995	შტეფი გრაფი
1996	შტეფი გრაფი
1997	მარტინა ჰინგისი
1998	იანა ნოვოტნა
1999	ლინდსი დევენპორტი
2000	ვინუს უილიამსი
2001	ვინუს უილიამსი
2002	სერენა უილიამსი
2003	სერენა უილიამსი
2004	მარია შარაპოვა
2005	ვინუს უილიამსი



ჯო ტორნტონმა ორი მთავარი ჯილდო ჩაიცინა, ალექსანდრ ოვეჩკინი კი სეზონის საუკეთესო ახალბედაა

უძვირფასესი ჯო

ლიგამ ჯილდოები გაანაწილა

ზედიზედ მესამე სეზონია, ნჰლ-ს ყველაზე პრესტიჟული პრიზის მფლობელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხდება. 2003 წელს ეს პატივი პეტერ ფორსბერგს ერგო, ერთი წლის შემდეგ ტამპელ მარტენ სან ლუის, ახლა კი „სანხოსელი“ ჯო ტორნტონის ჯერი დადგა. მან ნამდვილად დაიმსახურა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდება. სწორედ ტორნტონის გადასვლის შემდეგ გაუმჯობესდა „სან ხოსეს“ თამაში რადიკალურად. მანამდე ისინი ძლივს დახოხავდნენ და ფავორიტადაც არავინ მიიჩნევდა, მაგრამ მოვიდა ტორნტონი და „კონკია“ („სან ხოსეს მეტსახელი) მშვენიერ პრინცესად იქცა. აღმოჩნდა, რომ თურმე ჯონათან ჩიჩუ შესანიშნავი მეგოლე ყოფილა, ნილს ეკმანსაც 30 შაიბის გატანა შეძლებია და საერთოდ, „სან ხოსე“ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი გუნდი ყოფილა. სხვათა შორის, ჩიჩუ სეზონის საუკეთესო მეგოლე და „მორის რიშარ ტროფის“ მფლობელი გახდა. ასე რომ, ტორნტონმა სავსებით დაიმსახურა „ჰარტ ტროფი“. მან საუკეთესო ბომბარდირისთვის (გოლი+პასის სისტემით დაგროვილი ქულები) განკუთვნილი „არტ როს ტროფიც“ დაიმატა. შეგახსენებთ, რომ ტორნტონმა 125 ქულა (29+96) მოაგროვა, აქედან 92 ნოემბრის ბოლოს „სან ხოსეში“ გადასვლის შემდეგ.

თუმც მოგეხსენებათ, მოთამაშეთა ასოციაცია თვითონ ირჩევს სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს და მას „ლესტერ ბ. პირსონის“ პრიზით აჯილდოვებს („ჰარტ როსის“ მფლობელს ჰოკეიზე მწერალთა ასოციაცია ირჩევს). ჰოდა, ჰოკეისტების აზრით, ტორნტონი კი არა, „რეინჯერსის“ ლიდერი იარომირ იაგრი იყო საუკეთესო.

მოკლედ ვთქვათ სხვა ლაურეატებზეც — როგორც მოსალოდნელი იყო, სეზონის საუკეთესო ახალბედა „ვაშინგტონელი“ ალექსანდრ ოვეჩკინი გახდა და „კოლდერ ტროფი“ მოიპოვა. რუსმა შესანიშნავად ჩაატარა თავისი პირველი სეზონი ნჰლ-ში და უკვე ლიგაში შებიჯებამდე ქომაგთა კერპად ქცეულ სიდნი კროსბისაც კი აჯობა. წლის საუკეთესო მცველად „დეტროიტის“ ლიდერი ნიკლას ლიდსტრომი აღიარეს, რომლისთვის ეს უკვე მეოთხე „ნორის ტროფია“. საუკეთესო მეკარე და „ვეზინა ტროფის“ მფლობელი მიკა კიპრუსოფი გახდა. საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილი ჯილდო „ბუფალოს“ თავკაცს ლინდი რაფს ერგო წილად.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ორმაგი რეპეტიცია

ქართულ მასპინძლობას ჰოლონელი შეაფასებს

დღეს და ხვალ რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში ვეტერანი მოჭიდავის თემურ ყაზარაშვილის სახელობის მეათე საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება კადეტ ბერძენ-რომაელებს შორის. ეს შეჯიბრი 25-30 ივლისს სტამბოლში გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო რეპეტიციაა და ხალიჩაზე თურქეთში წამსვლელი არაერთი სპორტსმენი გავა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი სულაც რუსთავული შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება.

მეორე წელია, ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება. წლეულს ფილამ კომისარიც გამოუშვა. პოლონელი გრიგოლ ბრუდჟინსკის დასკვნამ შესაძლოა, საქართველოს კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაც გაუნაღდოს. პოლაპარაკება უკვე კარგა ხანია, დაიწყო. ახლა გადასაწყვეტი ისღაა, რომელი წლის ევროპირველობას ვუმასპინძლებთ.

„ბრუდჟინსკის დასკვნაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამიტომ ვცდილობთ, რუსთავული ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ“ — თქვა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ. მერე კი ბათუმში მშენებარე ევროსტანდარტების საჭიდაო დარბაზიც ახსენა და დასძინა, ერთ ან ორ წელიწადში კადეტთა ევროპის ჩემპიონატს იმ დარბაზში ჩავატარებთო.

თემურ ყაზარაშვილის სახელობის ტურნირზე კი საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, ისრაელისა და უკრაინის 150-მდე მოჭიდავე გამოვა.

ოთარ მაღლაკელიძე

ᲤᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

მოგება თელავურად

აზერბაიჯანიდან სასპარინგოდ მოწვეულ ნაკრებს ქართველებმა გუშინ თელავში სძლიეს და წინა მატჩებში დამარცხებისთვის ნაწილობრივ რევანში აიღეს.

სტუმრები საქართველოში სამი დღის წინ ჩამოვიდნენ და სანამ თელავს მიაშურებდნენ, თბილისში ჩვენს ნაკრებს ორჯერ მოუგეს.

გუშინ კი, ამხანაგური სერიალის მესამე მატჩში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში ქართველებმა მეზობლები 33:28 დაამარცხეს.

ქართველები თიხაზე ყოჩალობენ

იტალიის ქალაქ ფონტანაფრედას თიხაზე ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით მიმდინარე 25 000 დოლარი საპრიზო ფონდის მქონე საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა WTA-ს კლასიფიკაციის 303-ე საფეხურზე მყოფი რუსი ეკატერინა მაკაროვა 6:3 0:6 6:3 დაამარცხა და მეოთხედფინალში გააღწია. მანამდე მაკამ იტალიელ ასტრიდ ბესერს მოუგო იოლად 6:0 6:3. მეოთხედფინალში ჩახნაშვილის მეტოქე რეიტინგის 317-ე ნომერი, კანადელი მარიევა რელიტიე იქნება, რომელმაც პირველ ორ შეხვედრაში მე-4 ნომრად განთესილ სამხრეთ აფრიკელ შანელ შიპერსსა და რუმინელ მაგდა მიხალკეს სძლია.

ჩახნაშვილისგან განსხვავებით, ამერიკული ფორტ-ვიურტის ჰარდზე მიმდინარე 10 ათასიანი ტურნირის მეორე წრე გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა მე-5 ნომრად განთესილი სალომე დევიძისთვის. პირველი მეტოქე, კანადელი ჩანტალ ბითჰეიმი სალომემ ორ სეტში 7:6 6:4 კი დამარცხდა, მაგრამ მერე თავად, ასევე ორ სეტში 2:6 3:6 წააგო 16 წლის ამერიკელ ჯაიმი ჰემპტონთან.

მეოთხედფინალშია ლადო ჩიხლაძე, ვინც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარეშტის თიხაზე თამაშობს. ლადომ ჯერ კორტის მასპინძელს ვიკტორ-ანდრე იუნს სძლია 6:1 6:2, ხოლო შემდეგ, ასევე ორ სეტში 7:6 6:3 დაჯაბნა სამხრეთაფრიკელი ფრიც ვოლმარანსი. მეოთხედფინალში ჩიხლაძე კიდევ ერთ რუმინელს, ATP-ის კლასიფიკაციაში სადღაც 1410-ე ადგილზე მყოფ ლორენცო-ანტონიუ ერლიკს ეთამაშება.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ჰერტოგენბოში. ჰოლანდია.
ბალახი. საპრიზო 323 250 €

მეოთხედფინალი

მარიო ანჩიჩი (3, ხორვატია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:0; **მარკოს ბაღდატისი** (6, კვიპროსი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:2 3:0 (უარი); **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 6:3 6:7 6:3; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ჰუნგ ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4 6:4

ნახევარფინალი

ანჩიჩი — ბაღდატისი 7:6 7:6; **ჰერნიხი** — სერა 6:2 7:6

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ნოტინგემი, ინგლისი.
ბალახი
საპრიზო 323 250 €

მეოთხედფინალი

ანდრეა სეპი (იტალია) — ენდრიუ მიურეი (ბრიტანეთი) 7:6 4:6 6:1; **როგინ სოდერლინგი** (შვედეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:6 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ფლორიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 6:1

ნახევარფინალი

ბიორკმანი — სეპი 6:3 6:1; **გასკე** — სოდერლინგი 7:6 7:6

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ისტბურნი. ინგლისი. ბალახი.
საპრიზო 600 000 $

მეოთხედფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (7, გერმანია) 5:7 7:5 7:6; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4 6:4

ნახევარფინალი

ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) 6:3 5:7 6:1; **მისკინა** — კუზნეცოვა 6:4 2:6 6:4

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ჰერტოგენბოში. ჰოლანდია.
ბალახი. საპრიზო 175 000 €

ნახევარფინალი

დინარა საფინა (2, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი); 6:3 3:6 6:4; **მიქაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) 1:6 7:6 6:4

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛ ᲛᲢᲐᲪᲘ **ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ**

ᲟᲘᲚ ᲕᲘᲚᲜᲔᲕᲘ

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ



ᲢᲠᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ---------- 4.361 ᲙᲛ
ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ---------- 70 ᲬᲠᲔ — 305.270 ᲙᲛ

ᲠᲑᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ 21 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

შარშან: 1 რაიკონენი (მაკლარენი); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 მასა (ზაუბერი); 5 ვებერი (უილიამსი); 6 რ.შუმახერი (ტოიოტა); 7 კულჰარდი (რედ ბული); 8 კლიენი (რედ ბული)

ᲬᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ: 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1:13.622 (213,2 კმ/სთ)

სარბიელი
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ᲗᲐᲨᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00